



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT
OF GEORGIA

ISET POLICY
INSTITUTE
International school of economics at TSU



შვედეთი
Sverige



საქართველოში მსიკა და საშუალო ზომის საწარმოების (SME)
კავშირების ზეგავლენის შეფასების (RIA) გეგმის
მეთოდოლოგიის შემუშავება და საქართველოს მთავრობის
შესაძლებლობების განვითარება SME RIA გეგმის პრაქტიკაში
გამოყენებისათვის

SME გეგმის პრაქტიკული სახელმძღვანელო

ავტორები

ლორენცო ალიო
ნორბერტო პინიატი
დავით კეშელავა
მარიამ ლობჯანიძე
ანა ბურდული
მარიამ კაცაძე



შენიშვნა: მომზადებულია ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

სარჩევი

SME ტესტის პრაქტიკულ სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინოლოგიის ლექსიკონი	4
ნაწილი I.	8
I.1. ხარჯების კალკულატორი	8
I.1.1 ხარჯების კალკულატორის სტრუქტურა	8
I.2. ხარჯების კალკულატორის გამოყენების წესი	9
I.2.1 შესაყვანი მონაცემები	9
ნაწილი II.	26
II.1. კონკურენტუნარიანობის შეფასება	26
II.2. არაპირდაპირი ზეგავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე	27
II.2.1. გავლენა პროდუქტიულობის დონეებზე	28
II.2.2. გავლენა კვლევასა და განვითარებაზე (R&D) და ინოვაციაზე	28
II.2.3. გავლენა ვაჭრობაზე	31
II.2.4. დასკვნების ფორმულირება	32
II.3. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კონსულტირების ინდივიდუალური მიდგომების შემუშავება	32
ნაწილი III.	36
III.1. შესავალი	36
III.1.1 გაცნობითი ნაწილი	36
III.1.2 მოკლე ინფორმაცია გამოყენებული მაგალითის შესახებ	36
III.2. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და მონაცემთა შეგროვება	40
III.2.1 კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან: ძირითადი მიგნებების მიმოხილვა და განხილვა, თუ რისი დამატება იქნებოდა გონივრული SME ტესტის კონტექსტში	42
III.2.2 შესაბამისი მონაცემები: SME ტესტის ჩასატარებლად საჭირო მონაცემების წარმოდგენა. რა ტიპის მონაცემების შეგროვება მოხერხდა და რა ტიპისა - ვერ? (სად შეიძლებოდა აღნიშნული მონაცემების მოპოვება)	43
III.2.3 განაწილების ანალიზი	52
III.2.4 ზეგავლენის ანალიზი	53
III.2.5 ალტერნატიული მექანიზმების და შედეგების შემსუბუქების შეფასება	57
III.2.6 შაბლონის შევსება	58
ბიბლიოგრაფია	59
დანართი	60

SME ტესტის პრაქტიკულ სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინოლოგიის ლექსიკონი¹

ადმინისტრაციული და აღსრულების ხარჯები ან საჯარო სერვისების განხორციელების ხარჯები გაწეულია მთავრობის მიერ მარეგულირებელი მოთხოვნების ადმინისტრირებისა და აღსრულების დროს.

ადმინისტრაციული ტვირთი წარმოადგენს კომპანიების, მომხმარებლებისა და სხვათა ხარჯებს, რომლებიც გაწეულია რეგულაციების მიღების, წაკითხვისა და გაგების, შესაბამისობის სტრატეგიების შემუშავების, ასევე ანგარიშგების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ადმინისტრაციული ტვირთი არ მოიცავს შესაბამისობაში მოყვანის არსებით ხარჯებს.

შეფასება არის პროცესი, რომლის დროსაც დგინდება მიზნები, განიხილება სხვადასხვა ალტერნატივა, სარგებელი, რისკები და გაურკვევლობები მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

ჩვეული ბიზნესი (BAU) გულისხმობს მიმდინარე ღონისძიებების ჩვეულ რეჟიმში ისე გაგრძელებას, თითქოს კონკრეტული ჩარევა არ მომხდარა. ეს აუცილებელია იმის დასადგენად, თუ როგორ განვითარდებოდა პროცესი ჩარევის გარეშე (მაშინაც კი, როდესაც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს ვერსია მისაღები იყოს) და გვაძლევს კონტრფაქტულ ალტერნატივას, რომელიც გამოყენება საბაზისო ალტერნატივაა. BAU ასევე გამოიყენება, როგორც ერთგვარი სამიზნე მაჩვენებელი, რომელთანაც ალტერნატიული ჩარევების შედარება ხდება.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA) ადარებს იმავე ან მსგავსი პროდუქტის წარმოების ალტერნატიული გზების ხარჯებს.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA) არის ღონისძიების ან პროგრამის ზეგავლენის ფორმალური ანალიზი, რომელიც კეთილდღეობის ეკონომიკას ეფუძნება და შექმნილია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გადაწონის ღონისძიების ან პროგრამის უპირატესობები (სარგებელი) მის უარყოფით მხარეებს. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი მოიცავს როგორც ხარჯების, ასევე ღონისძიების შედეგის/სარგებლის მონეტარულ შეფასებას.

კაპიტალური ხარჯი ფინანსური სახსრების მოძიების ხარჯებია, რომელსაც, ზოგიერთ შემთხვევაში, სარგებლის წლიურ საპროცენტო განაკვეთადაც მოიხსენიებენ.

1. ადაპტირებულია HM Treasury Green Book-იდან, Irish RIA Guidelines, OECD Regulatory Policy Outlook 2018, გაერთიანებული სამეფოს უკეთესი რეგულირების ჩარჩო სახელმძღვანელოდან 2015 წლის მარტი და NICE ლექსიკონიდან - სრული დეტალებისთვის იხილეთ ბიბლიოგრაფია.

კონტრაფაქტული - იხ. ჩვეული ბიზნესი - ეხება ალტერნატიულ სცენარს, განსხვავებულს იმისგან, რაც მოხდა ან მოსალოდნელია დაგეგმილი ქმედებების/პოლიტიკის გათვალისწინებით, თუ ერთი ან მეტი ელემენტი და/ან ქმედება/პოლიტიკა განსხვავებული იქნება.

პირდაპირი ზეგავლენა შედეგი, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ რეგულაციის შესრულებით ან მისი გაუქმებით/გამარტივებით.

დისკონტირება არის მეთოდი რომელიც გამოიყენება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ხარჯისა და სარგებლის შესადაარებლად.

დისკონტირების განაკვეთი ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთია, რომლის მიხედვითაც მომავალი სავალუტო ღირებულების მიმდინარე ღირებულება დროთა განმავლობაში უნდა შესწორდეს.

ეკონომიკური ეფექტიანობა მიიღწევა მაშინ, როდესაც არცერთი მონაწილის ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, სხვისი მდგომარეობის გაუარესების გარეშე. ასეთი ეფექტიანობა ზრდის სოციალურ კეთილდღეობას და გვაძლევს გარანტიას, რომ რესურსი ყველაზე პროფუქტიული გზით გადანაწილდება.

შეფასება ჩარევის დიზაინის, შედეგებისა და შესრულების სისტემური შეფასება.

არაპირდაპირი ზეგავლენა რეგულაციის მთავარი მიზნის თანმდევი (და არა პირდაპირი) ეფექტია. მაგალითად, მესამე მხარეებზე გავლენა, რომელიც დროთა განმავლობაში ბაზრის ცვლილების შედეგად იწვევს ქცევით ცვლილებებსა და დინამიურ ეფექტებს. მას ასევე „მეორე რიგის“ გავლენასაც უწოდებენ. იხილეთ მულტიპლიკატორის ეფექტი.

ასიმეტრიული ინფორმაცია გარიგებაში მყოფ ორ მხარეს შორის ხელმისაწვდომ ინფორმაციაში განსხვავება, რომელიც ერთ-ერთ მხარეს უპირატესობას ანიჭებს. ეს მნიშვნელოვანია ეფექტიანი ხელშეკრულების, სამართლიანი ფასისა და შესრულების შეფასების დასადგენად.

ჩარევა ეხება პოლიტიკას, პროგრამას ან პროექტს, რომლის ღირებულებაც ფასდება.

საბაზრო ღირებულება ან ფასი სამოხმარებლო პროდუქტის გასაყიდი ან შესაძენი ღირებულება, რომელიც ბაზარზე მიმწოდებლისა და მყიდველის ურთიერთობით დგინდება.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი (MCA) არის ტექნიკა, რომელსაც იყენებენ იმ კომპრომისული არჩევნის გასათვალისწინებლად, რომლის მონეტიზაციაც შეუძლებელია. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი ვარიანტებს კრიტერიუმების მიხედვით აფასებს და ზომავს, რამდენად მიღწეულია მიზნები თითოეულ კრიტერიუმზე დაყრდნობით. კრიტერიუმებზე ზეგავლენა, ჩვეულებრივ, ფასდება ქულების ფაქტორით.

მულტიპლიკატორის ეფექტი ზომავს ჩარევით გამოწვეული სახელმწიფო შემოსავლის ზრდას თავდაპირველთან შედარებით, მოთხოვნის ან მიწოდების მხრივ. მულტიპლიკატორის ეფექტი არაპირდაპირი ზეგავლენის სპეციფიკური ფორმაა.

წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV ან PV) ზოგადი ტერმინია, რომელიც მომავალი ღირებულებების ნაკადის ჯამს აღნიშნავს (რომლებიც უკვე რეალურ ფასებშია გამოხატული) და მიმდინარე ღირებულების მისაღებადაა დისკონტირებული.

წმინდა მიმდინარე სოციალური ღირებულება (NPSV) არის სხვაობა, სოციალური სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულებასა და სოციალური ხარჯის წმინდა მიმდინარე ღირებულებას შორის ან ეკვივალენტურად, წმინდა სარგებლის ნაკადის მიმდინარე ღირებულება, დროთა განმავლობაში მათი წარმოქმნის შესაბამისად.

ნომინალური მონაცემები გულისხმობს ხარჯების ღირებულებას მიმდინარე ფასებში, მათი განხორციელების დროს.

ალტერნატიული დანახარჯი არის მომდევნო საუკეთესო ალტერნატიული აქტივის ან რესურსის გამოყენების ხარჯი.

პროპორციულობა არის პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ რაც უფრო დიდი მნიშვნელობისაა შემოთავაზებული ჩარევა, მით მეტი ანალიზი სჭირდება მას. შეთავაზების მნიშვნელობა მისი საერთო ეკონომიკური, სოციალური, გარემოსთან დაკავშირებული კრიტერიუმებით ან კონკრეტულ სექტორზე გავლენით უნდა განვასხვაოთ.

რეალური ფასი არის ნომინალური ფასი (მიმდინარე ფასი) რომლის დეფლაციაც ინფლაციის შესაბამისად ხდება.

დისკონტირების რეალური განაკვეთი არის დისკონტირების ნომინალური განაკვეთი (იგივე საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ხარჯებისა და სარგებლის დისკონტირებისთვის იყენებენ), რომლის დეფლაციაც ინფლაციის მიხედვით ხდება.

რეალური მონაცემები არის ხარჯის ღირებულება სპეციფიკურ საფასო საფეხურზე (ითვლება ნომინალური ღირებულების საერთო საფასო ინდექსთან შეფარდებით, მაგალითად, ისეთთან როგორცაა მშპ დეფლატორი).

რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA ან IA) შეიძლება ორ რამეს აღწერდეს: პირველი არის პროცესი, როდესაც პოლიტიკოსები იაზრებენ და კარგად ესმით მთავრობის ჩარევის შედეგები; და ასევე შესაძლოა, იყოს რაიმე სახის ინსტრუმენტი ან დოკუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს მთავრობას, შეაფასოს და წარადგინოს ასეთი ჩარევის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები.

რისკები ჩარევის შექმნის, დაგეგმვისა და განხორციელების დროს აღმოცენებული გაურკვევლობებია.

სპეციფიკური ზეგავლენის ტესტი არის დამატებითი ანალიზი, რომლის საჭიროებაც ისეთი გავლენების არსებობის შემთხვევაში ხდება, როგორებიცაა გარემო, კონკურენცია, სიღარიბე, თანასწორობა ან სოციალური მიუღებლობა.

სტანდარტული ხარჯის მოდელი (SCM) უზრუნველყოფს რეგულაციის ადმინისტრაციული ტვირთის გაზომვისათვის საჭირო სქემას.

შესაბამისობაში მოყვანის არსებითი ხარჯები არის ხარჯი, რომლის გაწევაც აუცილებელია რეგულაციასთან შესაბამისობის მისაღწევად და არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ტვირთს. ეს მხოლოდ პირდაპირ ხარჯებს მოიცავს მათთვის, ვისაც რეგულაციის დაცვის ვალდებულება აკისრია. მაგალითისთვის, მოიცავს განხორციელების, შრომის, ოპერაციულ, მატერიალურ და გარე მომსახურების ხარჯებს.

ჩანაცვლება როდესაც კომპანია ან მომხმარებელი ჩარევის შედეგად ერთ აქტივობას მეორეთი ანაცვლებს. ეკონომიკური აქტივობის ცვლილებამ შესაძლოა, პროდუქტიულობის ცვლილება და შესაბამისად, დამატებითი ხარჯი ან სარგებელი გამოიწვიოს.

საოპერაციო ხარჯი და სარგებელი გარდამავალი ან ერთჯერადი ხარჯი ან სარგებელი, რომელიც ძირითადად რაიმე ღონისძიების განხორციელების შედეგად გვხვდება.

ნაწილი I.

I.1. ხარჯების კალკულატორი

SME ტესტის განსახორციელებლად გადასადგმელი მთავარი ნაბიჯი შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯების რაოდენობრივი ანალიზის ჩატარებაა. ხარჯების კალკულატორი დაგეხმარებათ, გამოთვალოთ ის ხარჯი, რომლის გაწევაც მოუწევთ როგორც მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, ასევე დიდ კომპანიებს საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე, შეძლებთ იმის შეფასებას, ხომ არ გახდება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ძალიან დიდი/არათანაზომიერი ტვირთი.


I.1.1 ხარჯების კალკულატორის სტრუქტურა

ხარჯების კალკულატორი არის ექსელის პლატფორმაზე დაფუძნებული სამუშაო პროგრამა, რომელიც 14 სამუშაო ფურცლისგან შედგება. ქვემოთ მოცემულია ხარჯების კალკულატორის სტრუქტურის სტილიზებული გრაფიკული გამოსახულება (იხ. გრაფიკი 1.1). ოთხი სამუშაო ფურცელი („შესაყვანი მონაცემები“, „ბიზნეს-სუბიექტები“, „საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ხარჯების ჯამური მოცულობა“ და „მნიშვნელობები“) ყოველთვის მარტივად ხელმისაწვდომია, ხოლო დანარჩენი ათი („შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები“, „სხვა საოპერაციო ხარჯები“, „კაპიტალური ხარჯები“, ალტერნატიული დანახარჯები“ და „მოსაკრებლები“ – თითოეული მათგანი მცირე და საშუალო საწარმოების, ასევე დიდი ზომის საწარმოების კატეგორიებად დაყოფილი) დამალულია კალკულატორის უფრო მოხერხებულად გამოყენების მიზნით, თუმცა, მათი გამოჩენა შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში².

პირმა (თქვენ), რომელიც იყენებს ხარჯების კალკულატორს, **თავად უნდა შეიყვანოს ყველა საჭირო ინფორმაცია — „შესაყვანი მონაცემები“ სამუშაო ფურცელში (მხოლოდაქ).** თქვენ მიერ შეყვანილი მონაცემები დამუშავდება სხვა სამუშაო ფურცლებში არსებული ფორმულების მეშვეობით და იწარმოება გამოთვლები. გვერდი „ბიზნეს-სუბიექტები“ უზრუნველყოფს პირველადი მონაცემების შექმნას იმდენად, რამდენადაც ეფუძნება სამუშაო ფურცელში არსებულ „შესაყვანი მონაცემებში“ მითითებულ წყაროს, რის საფუძველზეც აწვდის ინფორმაციას ყველა სხვა სამუშაო ფურცელს. ექსელის ფაილის ყველა დანარჩენი სამუშაო ფურცელი იღებს ინფორმაციას როგორც სამუშაო ფურცლიდან — „შესაყვანი მონაცემები“, ისე იმ სხვა სამუშაო ფურცლებიდან, რომლებიც შეიცავს წარმოებულ ინფორმაციას და, ამავდროულად, გადასცემს მონაცემებს უფრო მაღალი იერარქიის სამუშაო ფურცელს. ინფორმაცია არ გადაეცემა სხვა სამუშაო ფურცლებს „მნიშვნელობების“ სამუშაო ფურცლიდან.

2. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მეტი პრაქტიკულობისათვის ფაილში მოცემული ზოგიერთი დასახელება წარმოდგენილია აბრევიატურის სახით.

გრაფიკი 1.1 ხარჯების კალკულატორის სტრუქტურა



I.2. ხარჯების კალკულატორის გამოყენების წესი

I.2.1 შესავანი მონაცემები

თავდაპირველად, მონაცემები უნდა შეიყვანოს სამუშაო ფურცელში — „შესავანი მონაცემები“. აღნიშნული მონაცემები შესაძლოა დაფუძნდეს ცხრა ჯგუფად:

1. დისკონტირების პარამეტრები;
2. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს კაპიტალური ხარჯების განმეორებით გაწევა/ანალიზის ჩატარების პერიოდი (მხედველობაში არ მიიღება);
3. ეკონომიკური სუბიექტების პარამეტრები;
4. არსებული მოსაკრებლების (ინკრემენტული) მოცულობა;
5. დასაქმებისა და ბრუნვის მაჩვენებლების სტატისტიკა;
6. შრომის ანაზღაურების პარამეტრები;
7. სხვა საოპერაციო ხარჯებთან დაკავშირებული პარამეტრები;
8. კაპიტალური ხარჯები;
9. სხვა ალტერნატიული დანახარჯები.

ქვემოთ მოცემულ თავებში მოკლედ აღწერილია შესაყვანი მონაცემების მახასიათებლები, როგორ მოხდება მათი გამოყენება, სად უნდა მოხდეს მათი შეყვანა და მონაცემების მოპოვების პოტენციური წყაროები.

I.2.1.1 დისკონტირების პარამეტრები

გრაფიკში 1.2 ნაჩვენებია დისკონტირების რეალური განაკვეთის გამოსათვლელად საჭირო ცვლადები, რომლებიც, თავის მხრივ, გამოიყენება საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ხარჯების მიმდინარე ღირებულების (PV) გამოსათვლელად. აღნიშნული პარამეტრებია:

- ✓ დისკონტირების ნომინალური განაკვეთი [უჯრა B1], რომელიც მოიაზრება, რომ ტოლია 10-წლიანი (ან უახლოესი ვადიანობის მქონე) სახაზინო ფასიანი ქაღალდების ღირებულებისა, გადასახადების გარეშე³;
- ✓ მოსალოდნელი ინფლაციის დონე [უჯრა B3] (როგორც წესი, გამოითვლება ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელვადიანი სამიზნე მაჩვენებლის საფუძველზე)⁴.

შენიშვნა: ჩვენი რეკომენდაციაა, რომ კალკულატორში ამჟამად არსებული აღნიშნული ორი მნიშვნელობა შეიცვალოს მხოლოდ ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული განახლებული ინფორმაციის საფუძველზე და ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტთან კონსულტაციის შემდეგ.

გრაფიკი 1.2 დისკონტირების პარამეტრები

1	დისკონტირების ნომინალური განაკვეთი (10 წლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდები გადასახადების გარეშე) - Nominal discount rate (10 yrs treasury notes net of taxes)	8%
2		
3	მოსალოდნელი ინფლაციის დონე - Expected inflation rate	3%
4		

დისკონტირების რეალური განაკვეთის გამოსათვლელად, აღნიშნული ინფორმაცია მუშავდება სამუშაო ფურცელში „საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ხარჯების მიმდინარე ღირებულება (PV)“.

3. ხარჯების კალკულატორში მითითებული ღირებულება ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე არსებულ ფაილს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონის შესახებ (2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით) <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

4. ხარჯების კალკულატორში მითითებული ღირებულება ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე არსებულ ფაილს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის შესახებ (2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით) <https://nbg.gov.ge/page/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>

1.2.1.2 კაპიტალური ხარჯების განმეორებით გაწევის პერიოდი/ანალიზის ჩატარებისათვის საჭირო დროის საზღვრები⁵

მე-5 სტრიქონის შესაბამის ცარიელ უჯრაში (B5) უნდა შეიყვანოთ იმ პერიოდის ამსახველი მნიშვნელობა, როდესაც პირველად გახდება საჭირო კაპიტალური ხარჯის განმეორებით გაწევა (თუ აღნიშნული მომენტი დადგება ანალიზის ჩატარების პერიოდში)⁶ ან იმ პერიოდის ამსახველი მნიშვნელობა, როდესაც შეწყდება ანალიზის ჩატარება (რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება). აღნიშნულ მნიშვნელობას თავად განსაზღვრავთ იმის მიხედვით, თუ რაოდენ ხანგრძლივი გსურთ, რომ იყოს ანალიზის ჩატარების პერიოდი ან დროის ის მონაკვეთი, როდესაც საჭირო იქნება კაპიტალური ხარჯის განმეორებით გაწევა.

მაგ., დავუშვათ, რომ კაპიტალური ხარჯის გაწევა საჭიროა მე-5 წელს (1-ელ პერიოდში შეძენილი კაპიტალი გასტანს მხოლოდ მე-4 პერიოდის ბოლომდე და საჭიროა მისი ჩანაცვლება მე-5 პერიოდის განმავლობაში). ასეთ შემთხვევაში, თქვენს უჯრაში (B5) ჩაწერეთ 5-ს. კალკულატორი კი შეასრულებს ანალიზს მოცემული 4 პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით (ე.ი. ანალიზის განხორციელება შეწყდება მანამ, სანამ კაპიტალური ხარჯი არ განმეორდება ანალიზში შემავალი პირველი კომპანიებისთვის). იმ შემთხვევაში, თუ გსურთ, რომ ანალიზი გაგრძელდეს მხოლოდ, მაგ., სამი წლის განმავლობაში, უჯრაში (B5) უნდა ჩაწეროთ 4.

გრაფიკში 1.3 წარმოდგენილია მაგალითი, როდესაც ანალიზის ხანგრძლივობა 10 წელია და, შესაბამისად, უჯრაში მითითებული მნიშვნელობა არის '11'.

გრაფიკი 1.3 ანალიზის განხორციელების პერიოდის საზღვრები

კაპიტალური ხარჯების განმეორებით გაწევის პერიოდი/ანალიზის ჩატარებისათვის საჭირო დროის საზღვრები (მხედველობაში არ მიიღება) - Period in which capital costs need to be repeated/Time boundary of the analysis (excluded)	11
5	

იმისათვის, რომ კალკულატორმა შეძლოს მონაცემის დამუშავება, აუცილებელია, მითითებული მნიშვნელობა 1-ზე მეტი იყოს (ეს ნიშნავს, რომ ხორციელდება, სულ მცირე, 1 პერიოდის ანალიზი). **იმ შემთხვევაში, თუ მითითებული მნიშვნელობა ადამატება 10-ს**, ანალიზი მაინც განხორციელდება არაუმეტეს 10-წლიანი პერიოდისთვის.

1.2.1.3 ბიზნეს-სუბიექტების პარამეტრები

აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ბიზნეს-რეგისტრიდან. მე-8, მე-9 და მე-10 სტრიქონებში,

5. ანალიზის ჩატარების პერიოდის შემდგომი მნიშვნელობა (მაგ., თუ ანალიზის ჩატარების პერიოდია 10 წელი, უნდა მიუთითოთ 11)

6. აღნიშნული პერიოდის არჩევის მიზანია ის, რომ, საუკეთესო შემთხვევაში, დადგენილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა გამოვლინდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო გასაწევი ხარჯების საშუალო მნიშვნელობა. ანალიზის გახანგრძლივება იმ პერიოდის ხარჯზე, რომლის დროსაც უნდა განმეორდეს კაპიტალური ხარჯები, აზრს მოკლებულია იმდენად, რამდენადაც ეს გამოიწვევს საშუალო ხარჯის მხოლოდ მოჩვენებითად ზრდას, რაც არ შეესაბამება კაპიტალდაბანდების პერიოდში არსებულ რეალურ საშუალო ხარჯებს.

შესაბამის უჯრებში [B8, B9, B10] (გრაფიკი 1.4) უნდა მიუთითოთ ანალიზის განხორციელების პერიოდში არსებული მცირე, საშუალო და დიდ საწარმოთა რიცხვი. მე-13, მე-14 და მე-15 სტრიქონებში [უჯრები B13, B14, B15] (გრაფიკი 1.4) უნდა მიუთითოთ აღნიშნული საწარმოების რიცხვის აკუმულირებული წლიური ზრდის ტემპი უკანასკნელი 5 ან 10 წლის განმავლობაში, ყოველი ტიპის (მცირე, საშუალო ან დიდი) საწარმოსათვის ცალ-ცალკე.

გაითვალისწინეთ, რომ გრაფიკში 1.4 მითითებულია მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობები. თითოეული მათგანი უნდა ჩანაცვლდეს თქვენ მიერ მითითებული მნიშვნელობით.

შენიშვნა: ჩვენი რეკომენდაციაა, რომ გამოიყენოთ მხოლოდ საქსტატის ინფორმაცია. საუკეთესო შემთხვევაში კი გაიაროთ კონსულტაცია ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტთან⁷.

გრაფიკი 1.4 ბიზნეს-სუბიექტების პარამეტრები

7	ბიზნეს სუბიექტები (საწარმოების რიცხვი) Population size (# Enterprises)	
8	მცირე	10000
9	საშუალო	5000
10	დიდი	1000
11		
12	საშუალო ზრდა -საწარმოთა რიცხვი	
13	მცირე	1%
14	საშუალო	1%
15	დიდი	1%
16		

აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა იმისთვის, რომ კალკულატორმა შეძლოს ბიზნეს-სუბიექტების განვითარების დინამიკის პროგნოზების შემუშავება ანალიზის ჩატარების პერიოდში. შესაძლებელია, რომ საწარმოების რიცხვის ზრდის მაჩვენებელი იყოს ნეგატიური (იმ შემთხვევაში, თუ საწარმოთა რიცხვი დროთა განმავლობაში მცირდებოდა), ნული (იმ შემთხვევაში, თუ საწარმოთა რიცხვი დროთა განმავლობაში არ იცვლებოდა) ან დადებითი (იმ შემთხვევაში, თუ საწარმოთა რიცხვი დროთა განმავლობაში იზრდებოდა).

იმ შემთხვევაში, თუ თქვენთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია რომელიმე ჯგუფში შემავალი საწარმოების რიცხვის ზრდის შესახებ ან არ გსურთ ასეთი ინფორმაციის მითითება, კალკულატორი ჩაატარებს ანალიზს და შეიმუშავებს პროგნოზს იმ დაშვებით, რომ საწარმოთა რიცხვი უცვლელი იყო.

7. ინფორმაცია რეგისტრირებული და მოქმედი ბიზნეს-სუბიექტების შესახებ, მათი ეკონომიკური საქმიანობის ტიპისა და ზომის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri>. მიმდინარე წლის მდგომარეობით, განახლებული მონაცემები ოფიციალურად ქვეყნდება ყოველი კვარტლის მე-15 დღეს, დაწყებული მიმდინარე წლიდან. ბიზნეს-სუბიექტების ზომის მიხედვით დაყოფილი მონაცემები მათი განვითარების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. მონაცემების მისაღებად საჭირო იქნება საქსტატისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@geostat.ge. გაითვალისწინეთ, რომ საქსტატიდან შესაძლებელია მხოლოდ საწარმოების რაოდენობასთან დაკავშირებული, სხვადასხვა ნიშნით დაყოფილი, მონაცემების გამოთხოვა.

საწარმოთა რიცხვის მითითება სავალდებულოა სათითაოდ თითოეული ტიპის საწარმოს შემთხვევაში.

I.2.1.4 არსებული მოსაკრებლების (ინკრემენტული) მოცულობა

ეს მონაცემები უნდა ეყრდნობოდეს საკანონმდებლო ინიციატივას ან უკვე არსებულ კანონმდებლობას. აქ უნდა მიეთითოს მოსაკრებლების **ინკრემენტული** მნიშვნელობები (სხვაობა ახალ და მანამდე არსებულ მოსაკრებლებს შორის).

იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ინიციატივამდე მოსაკრებელი არ არსებობდა, არსებული მოსაკრებელი ჩაითვლება ინკრემენტულად. მოსაკრებლის მოცულობა თუ არ შეცვლილა, შესაბამის ველში უნდა ჩაიწეროს ნული ან იგი დარჩეს ცარიელი. თუ მოსაკრებელი შემცირდა, მითითებული უნდა იყოს უარყოფითი მნიშვნელობა.

ჩამოთვლილია ორი ტიპის მოსაკრებელი (გრაფიკი 1.5):

- ✓ საწყისი მოსაკრებელი: ახალი კანონმდებლობის ფარგლებში დაწესებული ერთ-ჯერადი მოსაკრებელი [უჯრები B18, B19, B20];
- ✓ განმეორებითი მოსაკრებელი: მოსაკრებლები, რომელთა გადახდაც ხდება გარკვეულ პერიოდში ერთხელ [უჯრები B23, B24, B25] (შენიშვნა: უნდა მიუთითოთ ჯამური წლიური მნიშვნელობა).

მოსაკრებლის თითოეული ტიპის მიხედვით, კალკულატორი იძლევა მათი დიფერენციაციის საშუალებას საწარმოს ზომის მიხედვით.

გაითვალისწინეთ, რომ გრაფიკში 1.5 მითითებულია მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობები. თითოეული მათგანი უნდა ჩანაცვლდეს თქვენ მიერ მითითებული მნიშვნელობით.

გრაფიკი 1.5 არსებული მოსაკრებლების (ინკრემენტული) მოცულობა

17	საწყისი მოსაკრებლების (ინკრემენტული) მოცულობა Initial Fees (incremental)	
18	მცირე	500
19	საშუალო	500
20	დიდი	500
21		
22	განმეორებადი მოსაკრებლების (ინკრემენტული) მოცულობა Recurring Fees (incremental)	
23	მცირე	300
24	საშუალო	300
25	დიდი	300
26		

აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა საწარმოების მიერ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გადახდილი მოსაკრებლების მნიშვნელობის ცვლილების გამოსათვლელად.

I.2.1.5 დასაქმებისა და ბრუნვის მაჩვენებლების სტატისტიკა

აღნიშნული მონაცემების გამოთხოვა შესაძლებელია საქსტატისგან. უჯრებში (B28), (B29) და (B30) უნდა მიუთითოთ მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა, უჯრებში (B33), (B34) და (B35) კი - მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოთა საშუალო ბრუნვა.

გრაფიკზე 1.6 სწორედ ეს ეტაპია ასახული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული მნიშვნელობები მითითებულია მხოლოდ საილუსტრაციოდ. თითოეული მათგანი უნდა ჩანაცვლდეს თქვენ მიერ მითითებული მნიშვნელობით.

შენიშვნა: ჩვენი რეკომენდაციაა, რომ გამოიყენოთ მხოლოდ საქსტატის ინფორმაცია. საუკეთესო შემთხვევაში კი გაიაროთ კონსულტაცია ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტთან⁸.

გრაფიკი 1.6 დასაქმებისა და ბრუნვის მაჩვენებლების სტატისტიკა

27	საწარმოში დაქირავებულთა საშუალო რაოდენობა Average number of employees per business	
28	მცირე	25
29	საშუალო	125
30	დიდი	400
31		
32	საწარმოს საშუალო ბრუნვა Average Turnover per business	
33	მცირე	6
34	საშუალო	36
35	დიდი	120

აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა ყოველ დასაქმებულზე საშუალო ხარჯის გამოსათვლელად, აგრეთვე, საშუალო ხარჯის გამოსათვლელად ყოველ 1 მლნ ლარის ოდენობის ბრუნვის შემთხვევაში (PV).

1.2.1.6 შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პარამეტრები

შრომის ანაზღაურების პარამეტრები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა (იხ. გრაფიკი 1.7):

- ✓ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოსათვლელად საჭირო პარამეტრები; აღნიშნული ხარჯები მოიცავს შემდეგს:
 - ადმინისტრაციული ხარჯები (სტრიქონები 38, 39 და 40);
 - არაადმინისტრაციული ხარჯები (სტრიქონები 41, 42 და 43).
- ✓ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გარე ხარჯები:
 - ადმინისტრაციული ხარჯები (სტრიქონები 46, 47 და 48);
 - არაადმინისტრაციული ხარჯები (სტრიქონები 49, 50 და 51).

თითოეული სტრიქონის შემთხვევაში **აუცილებელია, შეიყვანოთ ინფორმაცია როგორც მცირე და საშუალო საწარმოების [სვეტი B], ისე დიდი ზომის საწარმოების შესახებ [სვეტი C].** აღნიშნული მნიშვნელობები შესაძლოა ერთმანეთს ემთხვეოდეს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება და თქვენთვის ცნობილია დაახლოებითი შესაბამისი მნიშვნელობები, აუცილებელია, მცირე და საშუალო საწარმოებისა და დიდი ზომის საწარმოებისათვის მიუთითოთ განსხვავებული მნიშვნელობები.

8. მონაცემების ჩამოსატვირთად, გთხოვთ, გადახვიდეთ საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის ბმულზე <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>

შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯები არის ადმინისტრაციული დატვირთვის ზრდით გამოწვეული ხარჯები (მაგ., დამატებითი დოკუმენტების წარმოება, შედგენა, მოპოვება და გაგზავნა); ხოლო **არაადმინისტრაციული ხარჯები** არის ყველა ის დამატებითი აქტივობა, რომელთა განხორციელებაც საწარმოში ან გარე კონტრაქტორებთან დასაქმებულ პირებს მოუწევთ ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (დამატებითი პროფილაქტიკური სამუშაოები).

აღნიშნული მონაცემების გამოთხოვა შესაძლებელია რამდენიმე წყაროსგან. ინფორმაციის გამოთხოვა საწარმოებში დასაქმებული ადმინისტრაციული და სხვა ტიპის პერსონალის ანაზღაურების შესახებ შესაძლებელია საქსტატისგან. ხოლო ადმინისტრაციული საქმიანობების შესასრულებლად მოსალოდნელი დამატებით დახარჯული დროის შესახებ ინფორმაციის მიღებას შეძლებთ ჯგუფში შემავალი საწარმოების გამოკითხვით, მას შემდეგ, რაც მიაწვდით მათ შესაბამის ინფორმაციას მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. ინფორმაციის მიღება გარე პირების შრომის ანაზღაურებისა და ახალი/დამატებითი ამოცანების შესასრულებლად დახარჯული მოსალოდნელი დროის შესახებ უნდა მოხდეს როგორც დაინტერესებული კომპანიებისგან, ასევე პროცესში ჩართული პროფესიონალებისა და საკონსულტაციო კომპანიებისგან.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ კალკულატორი მოითხოვს, ანალიტიკოსმა შეიყვანოს დოკუმენტების შევსების/მოპოვებისა და მიწოდების დროს დახარჯული დრო (საათებში) ყოველ ჯერზე, რამდენჯერაც ეს საქმე შესრულდება. ასევე საჭიროა, მიუთითოთ რამდენჯერ უნდა განმეორდეს ეს მოქმედება ერთი წლის განმავლობაში (ეს შეიძლება იყოს 1 ან მეტი). კალკულატორი იზრუნებს ჯამური (განმეორებითი) წლიური დანახარჯების შეფასებაზე.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ცვლილება იწვევს ადმინისტრაციულ და არაადმინისტრაციულ საქმიანობებზე დახარჯული დროის შემცირებას, საჭიროა, მიუთითოთ უარყოფითი ცვლადი (დაზოგილი საათების რიცხვი მინუს ნიშნით). ეს გამოიწვევს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ხარჯების შემცირებას.

გრაფიკში 1.7 მოცემული მნიშვნელობები საილუსტრაციო ხასიათისაა. თითოეული მათგანი უნდა ჩანაცვლდეს თქვენ მიერ მითითებული მნიშვნელობით.

გრაფიკი 1.7 შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პარამეტრები

37	პერონალის შრომის დანახარჯები - STAFF LABOR COSTS	SMEs	დიდი კომპანიები
38	მიდა ადმინისტრაციული პერსონალის საშუალო საათობრივი ხელფასი Average hourly wage staff administration	4	6
39	დოკუმენტების შევსებაზე/მოპოვებაზე და გაცემაზე დახარჯული დრო (საათი) Time spent on filling / obtaining and delivering documents (hours)	2	2
40	სავალდებულო წარდგენების რიცხვი / წელი Number of obligatory submission / year	4	4
41	სხვა საშუალო საათობრივი ხელფასი Average hourly wage other	3	5
42	ახალი რეგულაციების გამო მოთხოვნილი/საჭირო სხვა აქტივობებში დახარჯული დრო (საათი) Time spent on other activities required by/necessary because of new regulation (hours)	1	1
43	რაოდენობა / წელი Number of times / year	12	12
44			
45	გარე შრომის დანახარჯები - EXTERNAL LABOR COSTS	SMEs	დიდი კომპანიები
46	საშუალო ხარჯი (საათი) - INFO Average cost (hour) - INFO	10	10
47	დოკუმენტების შევსებაზე/მოპოვებაზე და გაცემაზე დახარჯული დრო (საათი) Time spent on filling / obtaining and delivering documents (hours)	2	2
48	სავალდებულო წარდგენების რიცხვი / წელი Number of obligatory submission / year	1	1
49	საშუალო ხარჯი (საათი) - სხვა Average cost (hour) - OTHER	6	6
50	ახალი რეგულაციების გამო მოთხოვნილი/საჭირო სხვა აქტივობებში დახარჯული დრო (საათი) Time spent on other activities required by/necessary because of new regulation (hours)	1	1
51	რაოდენობა / წელი Number of times / year	1	1

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კალკულატორი გამოითვლის დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებით გამოწვეულ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ყოველი წლისთვის.

I.2.1.7 სხვა საოპერაციო ხარჯებთან დაკავშირებული პარამეტრები (განმეორებადი ხარჯები)

კალკულატორში აგრეთვე შეგიძლიათ შეიყვანოთ სხვა ნებისმიერი საოპერაციო ხარჯი, რომელიც შესაძლოა, წარმოიშვას საკანონმდებლო ცვლილების შედეგად. მაგ., დამატებითი ქირის ხარჯები, სხვა გაზრდილი ხარჯები, ნედლეულის დამატებითი ხარჯები და პროფილაქტიკური სამუშაოების გატარების ხარჯები, რომლებიც არ მოიცავს შრომის ანაზღაურებას (სათადარიგო ან შესაცვლელად განკუთვნილი ნაწილები და ა.შ). აღნიშნული ინფორმაციის მითითება გაზრდის შემუშავებული პროგნოზის სიზუსტეს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მისი მითითება სავალდებულოა 2020 წლის 17 იანვრის №35 დადგენილების მე-19 მუხლის თანახმად.

კალკულატორი შექმნილია ისე, რომ უზრუნველყოს საკმარისი მოქნილობა სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიების შედგენისას (მაქს. დასაშვებია 5 კატეგორია - გრაფიკი 1.8).

საჭიროა, მხოლოდ დაასახელოთ თითოეული ის კატეგორია, რომლის ჩართვაც გსურთ ანალიზში (თითო სტრიქონი ყოველი კატეგორიისათვის) და, აუცილებლად, თითოეული კატეგორიის შემთხვევაში მიუთითოთ როგორც ერთეულის ხარჯი (სტრიქონები 54 და 58), ისე ის მნიშვნელობა, რომელზეც უნდა გამრავლდეს ერთეულის ფასი (სტრიქონები 59 და 63). მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მნიშვნელობები ჩაიწერება სვეტ B-ში, ხოლო დიდი საწარმოებისა - სვეტ C-ში.

აღნიშნული მონაცემების მოპოვებას კონსულტაციების შედეგად შეძლებთ. თქვენ უნდა დაუკავშირდეთ შესაბამის სამინისტროებს, სხვადასხვა ზომით კატეგორიაში შემავალ საწარმოებს, დარგის ექსპერტებს და გაეცნოთ მსგავს საერთაშორისო ლიტერატურას (ეს უკანასკნელი შესაძლოა, მოითხოვდეს მონაცემების საქართველოს რეალობაზე მორგებას, რაც უნდა განახორციელოთ საკუთარი გამოცდილებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე).

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, კალკულატორი გამოითვლის ჯამურ (დამატებით) საოპერაციო ხარჯებს.

გრაფიკი 1.8 მოცემული მნიშვნელობები საილუსტრაციო ხასიათისაა. თითოეული მათგანი უნდა ჩანაცვლდეს თქვენ მიერ მითითებული მნიშვნელობით. გრაფიკი 1.8

გრაფიკი 1.8 სხვა საოპერაციო ხარჯებთან დაკავშირებული პარამეტრები

53	სხვა საოპერაციო ხარჯები	SMEs	დიდი კომპანიები
54	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 1 Unit cost - category 1	1	1
55	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 2 Unit cost - category 2	2	2
56	ერთეული დანახარჯი - კატეგორია Unit cost - category 3		
57	ერთეული დანახარჯი - კატეგორია Unit cost - category 4		
58	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 5 Unit cost - category 5		
59	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 1 Quantity - cost category 1	100	100
60	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 2 Quantity - cost category 2	75	75
61	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 3 Quantity - cost category 3		
62	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 4 Quantity - cost category 4		
63	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 5 Quantity - cost category 5		

1.2.1.8 კაპიტალური ხარჯები (ერთჯერადი ხარჯები)

შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები შესაძლოა, ეკონომიკური სუბიექტებისგან მოითხოვდეს დამატებით, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახის მნიშვნელოვან ინვესტიციებს (მაგ., ახალი აპარატული უზრუნველყოფა, ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, ახალი პატენტის მიღება და ა.შ).

ასეთ შემთხვევაში, საჭიროა, კაპიტალური ხარჯები შეიყვანოთ კალკულატორში. სამუშაო ფურცელში „შესაყვანი მონაცემები“ [სტრიქონები 67-76] ერთ-ერთი სექცია სწორედ ამ მიზნითაა შექმნილი (გრაფიკი 1.9).

როგორც სხვა საოპერაციო ხარჯების პარამეტრების შემთხვევაში, სტრუქტურა საკმაოდ მოქნილია. აგრეთვე, შესაძლებელია, მაქსიმუმ, ხუთი სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის კატეგორიის მითითება. საჭიროა, მკაფიოდ მიუთითოთ კაპიტალური ხარჯების კატეგორიები და თითოეულ კატეგორიაში მიუთითოთ ერთეულის ხარჯი და რაოდენობა.

სამუშაო ფურცელში შესაძლებელია სხვადასხვა ერთეული ხარჯების მნიშვნელობების და რაოდენობების მითითება მცირე, საშუალო [სვეტი B] და დიდი ზომის საწარმოების [სვეტი C] შემთხვევაში.

ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული მონაცემები კონსულტაციების შედეგად უნდა მოიპოვოთ. თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შესაბამის სამინისტროებს, სხვადასხვა ზომის ბიზნეს-სუბიექტებს, დარგის ექსპერტებს, მოიშველიოთ საერთაშორისო ლიტერატურის ანალიზი (ეს უკანასკნელი შესაძლოა, მოითხოვდეს მონაცემების საქართველოს რეალობაზე მორგებას, რაც უნდა განახორციელოთ საკუთარი გამოცდილების და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე).

იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ცვლილება იწვევს კაპიტალური ხარჯის შემცირებას, საჭიროა, მიუთითოთ უარყოფითი ცვლადაც.

გაითვალისწინეთ, რომ გრაფიკში 1.9 მითითებულია მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობები. თითოეული მათგანი უნდა ჩანაცვლდეს თქვენ მიერ მითითებული მნიშვნელობით.

გრაფიკი 1.9 კაპიტალური ხარჯები

65	კაპიტალური ხარჯები	SMEs	დიდი კომპანიები
66			
67	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 1 Unit cost - category 1	1	1
68	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 2 Unit cost - category 2	1	1
69	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 3 Unit cost - category 3		
70	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 4 Unit cost - category 4		
71	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 5 Unit cost - category 5		
72	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 1 Quantity - cost category 1	500	500
73	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 2 Quantity - cost category 2	4000	4000
74	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 3 Quantity - cost category 3		
75	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 4 Quantity - cost category 4		
76	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 5 Quantity - cost category 5		

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კალკულატორი გამოითვლის ჯამურ (დამატებით) კაპიტალურ ხარჯებს.

1.2.1.9 სხვა ალტერნატიული დანახარჯები (ერთჯერადი და განმეორებადი)

საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების გარდა, საწარმოებს შესაძლოა, აგრეთვე მოუწიოთ სხვა ხარჯების გაღებაც, როგორებიცაა: პროექტირებასთან დაკავშირებული დაგვიანებით გამოწვეული ხარჯები, პროდუქციისა და მომსახურებების წარმოებასა და კომერციალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები. როგორც წესი, ისინი **მოხსენიებულია ალტერნატიულ დანახარჯებად**, **რამდენადაც მოიაზრებენ საქმიანობაზე უარის თქმას ან დაგვიანებით განხორციელებას, საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.**

ასეთი ტიპის „ალტერნატიული დანახარჯის“ ანალიზში ჩართვა შეგიძლიათ „შესაყვანი მონაცემების“ სამუშაო ფურცლის ბოლოში არსებული ველის შევსებით (გრაფიკი 1.10).

სამუშაო ფურცლის ამ ნაწილის სტრუქტურა წინა სტრუქტურების მსგავსია - თქვენ შეგიძლიათ შეიყვანოთ „ალტერნატიული დანახარჯის“ მაქსიმუმ ხუთი კატეგორია, მცირე,

საშუალო და დიდი ზომის საწარმოებისათვის. ამ შემთხვევაშიც, საჭიროა მიუთითოთ ერთეულის ფასი, აგრეთვე ერთეულების რაოდენობა თითოეული ტიპის კომპანიისათვის. ამასთანავე, უნდა გაითვალისწინოთ, რომ „ალტერნატიული დანახარჯის“ შემცირების მაჩვენებელი შესაძლოა, ჩაიწეროს ხარჯების კატეგორიაში უარყოფითი მნიშვნელობით.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში გვაქვს დანახარჯების ორი ტიპი:

- ✓ პირველადი (ერთჯერადი) შეფერხებებით გამოწვეული ხარჯი [სტრიქონები 79-88];
- ✓ განმეორებადი (მრავალჯერადი) შეფერხებებით გამოწვეული ხარჯი [სტრიქონები 89-98].

ინფორმაციის მისაღებად საჭიროა, გაიაროთ კონსულტაცია შეფერხებების ტიპისა და ხანგრძლივობის შესახებ. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული ინფორმაციის მოსაპოვებლად შესაძლოა, დაუკავშირდეთ სხვადასხვა ზომით კატეგორიაში შემავალ საწარმოებს, დარგის ექსპერტებს და გაეცნოთ მსგავს საერთაშორისო ლიტერატურას (ეს უკანასკნელი შეიძლება მოითხოვდეს მნიშვნელობების საქართველოს რეალობაზე მორგებას, რაც უნდა განახორციელოთ საკუთარი გამოცდილების და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე).

გაითვალისწინეთ, რომ გრაფიკში 1.10 მითითებულია მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობები. თითოეული მათგანი უნდა ჩანაცვლდეს თქვენ მიერ მითითებული მნიშვნელობით.

გრაფიკი 1.10 სხვა ალტერნატიული დანახარჯები

78	სხვა ალტერნატიული დანახარჯები	SMEs	დიდი კომპანიები
79	პირველადი შეფერხება ტიპი 1 Initial delay type 1	1	2
80	პირველადი შეფერხება ტიპი 2 Initial delay type 2		
81	პირველადი შეფერხება ტიპი 3 Initial delay type 3		
82	პირველადი შეფერხება ტიპი 4 Initial delay type 4		
83	პირველადი შეფერხება ტიპი 5 Initial delay type 5		
84	პირველადი შეფერხების დანახარჯი 1 Cost of initial delay 1	1500	7500
85	პირველადი შეფერხების დანახარჯი 2 Cost of initial delay 2		
86	პირველადი შეფერხების დანახარჯი 3 Cost of initial delay 3		
87	პირველადი შეფერხების დანახარჯი 4 Cost of initial delay 4		
88	პირველადი შეფერხების დანახარჯი 5 Cost of initial delay 5		
89	განმეორებადი შეფერხება ტიპი 1 Recurring delay type 1	1	1
90	განმეორებადი შეფერხება ტიპი 2 Recurring delay type 2	2	2
91	განმეორებადი შეფერხება ტიპი 3 Recurring delay type 3		
92	განმეორებადი შეფერხება ტიპი 4 Recurring delay type 4		
93	განმეორებადი შეფერხება ტიპი 5 Recurring delay type 5		
94	განმეორებადი შეფერხების დანახარჯი 1 Cost of recurring delay 1	1000	5000
95	განმეორებადი შეფერხების დანახარჯი 2 Cost of recurring delay 2	1500	10000
96	განმეორებადი შეფერხების დანახარჯი 3 Cost of recurring delay 3		
97	განმეორებადი შეფერხების დანახარჯი 4 Cost of recurring delay 4		
98	განმეორებადი შეფერხების დანახარჯი 5 Cost of recurring delay 5		

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კალკულატორი გამოითვლის ჯამურ ალტერნატიულ დანახარჯებს.

ხარჯების ცხრა კატეგორიის დაჯამებით, ანალიზის განხორციელების პერიოდში, მიიღებთ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის საჭირო გასაწევი ხარჯების მნიშვნელობას თითოეული წლისათვის (სამუშაო ფურცელში აღნიშნული მნიშვნელობა დასათაურებულია, როგორც „საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ხარჯები“).

I.2.2 შუალედური შედეგების ამსახველი სამუშაო ფურცლები

სამუშაო ფურცელში, „შესაყვანი მონაცემები,“ მოცემული ინფორმაცია ავტომატურად მუშავდება შუალედური შედეგების ამსახველ 11 სამუშაო ფურცელში:

- ✓ ბიზნეს-სუბიექტები;
- ✓ შრომის ანაზღაურება (მცირე და საშუალო საწარმოებისა და დიდი ზომის საწარმოებისთვის);
- ✓ სხვა საოპერაციო ხარჯები (მცირე და საშუალო საწარმოებისა და დიდი ზომის საწარმოებისთვის);
- ✓ კაპიტალური ხარჯები (მცირე და საშუალო საწარმოებისა და დიდი ზომის საწარმოებისთვის);
- ✓ ალტერნატიული დანახარჯები (მცირე და საშუალო საწარმოებისა და დიდი ზომის საწარმოებისთვის);
- ✓ მოსაკრებლები (მცირე და საშუალო საწარმოებისა და დიდი ზომის საწარმოებისთვის).

შენიშვნა: გთხოვთ, აღნიშნულ სამუშაო ფურცლებში ხელით არ შეიყვანოთ მნიშვნელობები. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მნიშვნელობა აკლია, თქვენ მიერ შეყვანილი მონაცემები გადაამოწმეთ სამუშაო ფურცელში არსებულ „შესაყვანი მონაცემები“.

I.2.2.1 ბიზნეს-სუბიექტები

ეს ნაწილი ეხება მხოლოდ ბიზნეს-სუბიექტების სამუშაო ფურცელს. სხვა შუალედური შედეგების სამუშაო ფურცლები ხელმისაწვდომია დანართის სახით (დაინტერესებული პირებისათვის).

ამ სამუშაო ფურცელში დაანგარიშებულია როგორც სამივე ჯგუფში შემავალი ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობა 1-10 პერიოდისთვის (ან თქვენ მიერ არჩეულ პერიოდში), ისე აღნიშნულ დროის მონაკვეთს შორის ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობაში არსებული ცვლილებები (გრაფიკი 1.11).

გაითვალისწინეთ, რომ გრაფიკში 1.11 მითითებულია მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობები.

გრაფიკი 1.11 ბიზნეს-სუბიექტები

პერიოდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბიზნეს სუბიექტების მოსალოდნელი რიცხვი	0	1	2	3	4	5	6	7	8	9
მცირე	10000	10100	10303	10615	11046	11609	12323	13212	14307	15647
საშუალო	5000	5050	5152	5308	5524	5806	6163	6608	7156	7826
დიდი	1000	1010	1030	1061	1104	1160	1231	1320	1429	1563
	პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10
ახალი სუბიექტები	0	1	2	3	4	5	6	7	8	9
მცირე		100	203	312	431	563	714	889	1095	1340
საშუალო		50	102	156	216	282	357	445	548	670
დიდი		10	20	31	43	56	71	89	109	134

საკმაოდ მნიშვნელოვანია მოცემულ ცხრილებში არსებული განსხვავებები.

- ✓ კალკულატორი იყენებს ცხრილს „ბიზნეს-სუბიექტების მოსალოდნელი რიცხვი“ განმეორებითი ხარჯების გამოსათვლელად — ერთეულის ხარჯის გამრავლებით მოცემულ პერიოდში პროგნოზირებული ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობაზე.
- ✓ კალკულატორი იყენებს ცხრილს „ახალი სუბიექტები“ საწყისი ხარჯების გამოსათვლელად. ეს მოიაზრებს იმ ხარჯებს, რომლებსაც კომპანიები აწყდება საკუთარი საქმიანობის დასაწყისში ან საკანონმდებლო მოთხოვნების დანერგვისას. კალკულატორი ამრავლებს კონკრეტულ პერიოდში არსებული კომპანიების რიცხვს ერთეულის ღირებულებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოთა რომელიმე ჯგუფში შემავალი საწარმოების ზრდის მაჩვენებელი უარყოფითია, ახალი სუბიექტების მნიშვნელობები ნულს უტოლდება (სახეზე არ გვაქვს უარყოფითი კაპიტალური ხარჯი ან საწყისი მოსაკრებლები)⁹.

1.2.3 საბოლოო შედეგების ამსახველი სამუშაო ფურცლები

შუალედური შედეგების ამსახველ სამუშაო ფურცლებში მიღებული შედეგები მუშავდება და საბოლოო მნიშვნელობებად გარდაიქმნება საბოლოო შედეგების ამსახველ სამუშაო ფურცლებში, ესენია:

1. „საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ჯამური ხარჯების მიმდინარე ღირებულება (PV)“ (მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოებისათვის);
2. „მნიშვნელობები“ (მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოებისათვის).

9. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული იწვევს საშუალო ხარჯების შემცირებას, სავარაუდოა, რომ შესაძლო ცდომილება უმნიშვნელო იქნება და არ იქონიებს გავლენას ზოგად სურათზე. მეორე მხრივ, აღნიშნულის გათვალისწინებით, კალკულატორის მოდელის მოდიფიკაცია უფრო გაართულებს მათ და საჭიროს გახდის სხვა დამზებების გათვალისწინებას.

I.2.3.1 საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ჯამური ხარჯების მიმდინარე ღირებულება

აღნიშნულ სამუშაო ფურცელში ავტომატურად ხდება ყველა ხარჯის დაჯამება და დისკონტირება.

საჭიროა ხარჯებისა და სარგებლის სწორად გადანაწილება დისკონტირებული ფულადი ნაკადის სისტემაში. ხარჯები შესაძლოა წარმოიშვას პერიოდის დასაწყისში, მის დასასრულს ან მის განმავლობაში, რასაც კალკულატორი ითვალისწინებს. ზუსტი დისკონტირების უზრუნველსაყოფად, თითოეული პერიოდი დაყოფილია ორ სვეტად: პირველი სვეტი ასახავს პერიოდის დასაწყისს, ხოლო მეორე — პერიოდის დასასრულს. მაგ., პერიოდი 1-ელი იწყება 0-დან და მთავრდება პერიოდის 1-ელ მომენტში, ხოლო პერიოდი 10 იწყება მე -9 მომენტში და მთავრდება მე -10 მომენტში.

უმჯობესია განვიხილოთ, თუ როგორ არის განაწილებული სხვადასხვა ტიპის ხარჯები სამუშაო ფურცელში — გრაფიკი 1.12 ასახავს საილუსტრაციო, გამოგონილ მნიშვნელობებს სამუშაო ფურცელში არსებული მწვანე უჯრები ასახავს მცირე და საშუალო საწარმოების ფულის ნაკადს, ხოლო წითელი - დიდი ზომის საწარმოებში არსებულ ფულის ნაკადებს.

შენიშვნა: სამუშაო ფურცლის ზედა მარცხენა მხარეს მითითებულია დისკონტირების პროცესში გამოყენებული რეალური დისკონტის განაკვეთი, რომელიც გამოითვლება ნომინალური დისკონტის განაკვეთისა და მოსალოდნელი ინფლაციის დონის საფუძველზე.

გაითვალისწინეთ, რომ გრაფიკში 1.12 მითითებულია მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობები.

გრაფიკი 1.12 საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ხარჯების მიმდინარე ღირებულების კალკულატორი

შესაბამისობის ხარჯის კალკულატორი - Compliance Cost Calculator - SMEs											
შე-19 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით - Based on article 19, paragraph 1											
რეალური დისკონტირების განაკვეთი - REAL DISCOUNT RATE	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მშრომის დანახარჯები - Labor costs	705,000	1,417,050	1,438,435	1,474,766	1,527,171	1,597,295	1,687,347	1,800,382	1,940,301	2,111,992	1,103,231
სხვა საოპერატიუო დანახარჯები - Other Operational costs	1,875,000	3,768,750	3,825,625	3,922,250	4,061,625	4,246,125	4,487,625	4,788,250	5,160,375	5,617,000	2,934,125
კაპიტალური ხარჯები - Capital costs	67,500,000	675,000	1,372,500	2,106,000	2,911,500	3,802,500	4,819,500	6,003,000	7,393,500	9,045,000	
სხვა ალტერნატიული დანახარჯები - Other Opportunity costs	41,250,000	71,662,500	61,551,250	63,335,750	65,822,250	69,089,000	73,239,000	78,419,750	84,798,750	92,611,750	48,453,500
საწყისი მოსაკრებლები - Initial fees	7,500,000	7,575,000	7,727,500	7,961,500	8,285,000	8,707,500	9,243,000	9,910,000	10,731,500	11,736,500	
განმეორებადი მოსაკრებლები - Recurring fees		4,500,000	4,545,000	4,636,500	4,776,900	4,971,000	5,224,500	5,545,000	5,946,000	6,438,900	7,041,900
საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ჯამური ხარჯები - TOTAL COMPLIANCE COSTS	118,830,000	89,598,300	80,460,310	83,436,766	87,384,446	92,415,420	98,700,972	106,463,182	115,970,426	127,561,142	59,532,756
დისკონტირების ფაქტორი - DISCOUNT FACTOR	1.000	0.954	0.910	0.867	0.827	0.789	0.752	0.718	0.684	0.653	0.622
საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი დისკონტირებული ჯამური ხარჯები - DISCOUNTED COMPLIANCE COSTS	118,830,000	85,450,231	73,182,736	72,376,549	72,291,629	72,914,145	74,268,088	76,400,065	79,309,749	83,260,616	37,058,743
საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ჯამური ხარჯების მიმდინარე ღირებულება (PV) - TOTAL PV COMPLIANCE COSTS SMEs		885,402,550									

შესაბამისობის ხარჯის კალკულატორი - დიდი საწარმოები - Compliance Cost Calculator - Large											
0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
მშრომის დანახარჯები - Labor costs	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა საოპერატიუო დანახარჯები - Other Operational costs	125,000	251,250	255,000	261,375	270,625	283,000	298,875	318,875	343,625	374,000	195,375
კაპიტალური დანახარჯები - Capital costs	4,500,000	4,545,000	4,635,000	4,774,500	4,968,000	5,220,000	5,539,500	5,940,000	6,430,500	7,023,500	
სხვა ალტერნატიული დანახარჯები - Other Opportunity costs	30,000,000	32,700,000	25,725,000	26,520,000	27,617,500	28,910,000	298,875	316,875	343,625	374,000	195,375
საწყისი მოსაკრებლები - Initial fees	500,000	5,000	10,000	15,500	21,500	28,000	35,500	44,500	54,500	67,000	
განმეორებადი მოსაკრებლები - Recurring fees		300,000	303,000	309,000	318,300	331,200	348,000	369,300	396,000	428,700	468,900
საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ჯამური ხარჯები - TOTAL COMPLIANCE COSTS	25,125,000	37,801,250	30,928,000	31,880,375	33,195,925	34,185,200	35,620,750	37,691,550	40,277,250	43,427,200	859,650
დისკონტირების ფაქტორი - DISCOUNT FACTOR	1.000	0.954	0.910	0.867	0.827	0.789	0.752	0.718	0.684	0.653	0.622
საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი დისკონტირებული ჯამური ხარჯები - DISCOUNTED COMPLIANCE COSTS	25,125,000	36,051,192	28,130,586	27,054,574	27,402,410	28,448,455	29,906,574	31,817,271	34,179,083	37,402,621	535,126
საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ჯამური ხარჯების მიმდინარე ღირებულება (PV) - TOTAL PV COMPLIANCE COSTS Large		170,313,297									

როგორც გრაფიკი 1.12 გვიჩვენებს, კაპიტალური ხარჯები და საწყისი ხარჯები გვხვდება ყოველი პერიოდის დასაწყისში, ხოლო განმეორებადი ხარჯები — ყოველი პერიოდის ბოლოს. ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი გადანაწილებულია მთელი პერიოდის განმავლობაში (მათი ნახევარი — პერიოდის დასაწყისზე, ხოლო მეორე ნახევარი — პერიოდის დასასრულზე).

საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი დისკონტირებული ხარჯების გამოსათვლელად, კალკულატორი აჯამებს დროის ყოველ მონაკვეთში არსებულ სხვადასხვა ტიპის ხარჯებს, ხოლო ყოველი დროის მონაკვეთის დროს აღნიშნული ხარჯების ჯამი მრავლდება შესაბამის დისკონტირების კოეფიციენტზე. შემდგომ, მცირე და საშუალო, ასევე, დიდი ზომის საწარმოებისათვის საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ჯამური ხარჯების მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად იკრიბება იმავე ტიპის დისკონტირებული ხარჯები.

1.2.3.2 მნიშვნელობები

გრაფიკში 1.12 განხილული მაგალითის მიხედვით, საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გასაწევი ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება დიდი ზომის საწარმოების მიერ გასაწევ ხარჯებს. მიუხედავად

ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ არსებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება დიდი ზომის საწარმოების რიცხვს. საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მცირე და საშუალო ზომის, ასევე დიდი ზომის საწარმოების მიერ გასაწევი ხარჯების შესადარებლად აუცილებელია აღნიშნული გარემოების გათვალისწინება.

სწორედ ამას ემსახურება სამუშაო ფურცელი „მნიშვნელობები“ (გრაფიკი 1.13 და 1.14). ამ სამუშაო ფურცელში, „საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოების მიერ გასაწევი ხარჯების მიმდინარე ღირებულება“, გამოყენებულია:

- ✓ თითოეული საწარმოს საშუალო წლიური ხარჯების მნიშვნელობის გამოსათვლელად, რისთვისაც, მთლიანი ხარჯების მიმდინარე ღირებულება (PV) გაიყო თითოეულ კატეგორიაში შემავალ საწარმოთა საშუალო რაოდენობაზე, ანალიზის განხორციელების პერიოდში;
- ✓ თითოეული თანამშრომლის საშუალო წლიური ხარჯების მნიშვნელობის გამოსათვლელად, რისთვისაც, თითოეული საწარმოს საშუალო წლიური ხარჯების მნიშვნელობა გაიყო თითოეულ კატეგორიაში შემავალ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაზე, ანალიზის განხორციელების პერიოდში;
- ✓ ყოველი მილიონი ლარის ბრუნვაზე საშუალო წლიური ხარჯების მნიშვნელობის გამოსათვლელად, რისთვისაც, ყოველი საწარმოს საშუალო წლიური ხარჯების მნიშვნელობა გაიყო თითოეულ კატეგორიაში შემავალი საწარმოების საშუალო ბრუნვაზე (მილიონ ლარებში), ანალიზის განხორციელების პერიოდში;
- ✓ თითოეული საწარმოს საშუალო ხარჯი, მცირე, საშუალო და დიდი საწარმოებისთვის, საქმიანობის პირველ წელს;
- ✓ თითოეულ დასაქმებულზე საშუალო წლიური ხარჯი, მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოებისთვის, საქმიანობის პირველ წელს;
- ✓ ბრუნვაში არსებულ ყოველ მილიონ ლარზე საშუალო წლიური ხარჯი, მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოებისთვის, საქმიანობის პირველ წელს.

გრაფიკში 1.13 და 1.14 მოცემულია აღნიშნული მნიშვნელობები გრაფიკში 1.12 მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით.

გრაფიკი 1.13 მნიშვნელობები ანალიზის განხორციელების პერიოდში

	A	B	C	D	E	F	G	H
1						SMEs		LARGE
2								
3	საშუალო წლიური დანახარჯი ერთ	AVERAGE YEARLY COST PER ENTERPRISE				4,729		14,407
4	საწარმოზე							
5	საშუალო წლიური დანახარჯი ერთ	AVERAGE YEARLY COST PER EMPLOYEE				81		36
6	დასაქმებულზე							
7	საშუალო წლიური დანახარჯი ყოველ	AVERAGE YEARLY COST PER MLN. TURNOVER				296		120
8	მლნ. ბრუნვაზე							
9	საწარმოთა საშუალო რაოდენობა	Average number of enterprises in the period under consideration						
10	განსახილველ პერიოდში							
11	მცირე	Small	11916					
12	საშუალო	Medium	5959					
13	დიდი	Large	1191					

გრაფიკი 1.14 მნიშვნელობები ანალიზის განხორციელების პირველ წელს

	A	B	C	D	E	F	G	H
14								
15						SMEs		LARGE
16								
17	საშუალო პირველი წლის დანახარჯი	AVERAGE 1ST YEAR COST PER ENTERPRISE (GEL)				7,922		25,192
18	ერთ საწარმოზე (ლარი)							
19	საშუალო პირველი წლის დანახარჯი	AVERAGE 1ST YEAR COST PER EMPLOYEE (GEL)				135.81		63
20	ერთ დასაქმებულზე (ლარი)							
21	საშუალო პირველი წლის დანახარჯი	AVERAGE 1ST YEAR COST PER MLN. TURNOVER (GEL)				495		209.93
22	ყოველ მლნ. ბრუნვაზე (ლარი)							
23	საწარმოთა საშუალო რაოდენობა	Average number of enterprises in the period under consideration						
24	განსახილველ პერიოდში							
25	მცირე	Small	10000					
26	საშუალო	Medium	5000					
27	დიდი	Large	1000					
28								

თითოეულ კატეგორიაში შემავალი საწარმოების განსხვავებული რაოდენობის გამო, ცხადია, წინა სამუშაო ფურცელში არსებული მონაცემები იცვლება, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებისათვის თითოეული საწარმოს მიერ გასაწევი საშუალო ხარჯი მნიშვნელოვნად მცირეა.

მიუხედავად ამისა, თუ განვიხილავთ საშუალო წლიურ ხარჯს თითოეულ დასაქმებულზე და ბრუნვაში არსებულ ყოველ მილიონ ლარზე, გამოვლენილი ხარჯი მნიშვნელოვნად მაღალია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. ეს რომ რეალურ მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი ყოფილიყო, მიღებული მონაცემები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის არათანაზომიერ დატვირთვაზე მიგვანიშნებდა.

მე-3 ნაწილში ნაჩვენებია ხარჯების კალკულატორის გამოყენება საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გასაწევი ხარჯების შესაფასებლად SME ტესტის მეთოდოლოგიის მიხედვით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩატარდა საქართველოში.

ნაწილი II.

II.1. კონკურენტუნარიანობის შეფასება

თქვენმა ინიციატივამ შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს კონკურენტუნარიანობაზე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის თანაბარი პირობების შესაქმნელად. სწორედ ამიტომ, SME ტესტის ფარგლებში, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, შეიცავს თუ არა ინიციატივა მკაფიო ლიბერალიზაციის დებულებებს ან ისეთ ზომებს, რომლებიც ხელს შეუწყობს იმ ბარიერების გაზრდას ან შემცირებას, რომლებსაც კომპანიები აწყდებიან ბაზარზე შესვლის ან ბაზრიდან გასვლის მომენტში.

რეკომენდაცია #24 კონკურენციის შესახებ, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენცია შეიცავს კონკურენტუნარიანობაზე ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო მითითებებს. იხ. https://commission.europa.eu/law/law-making-process/planning-and-proposing-law/better-regulation/better-regulation-guidelines-and-toolbox/better-regulation-toolbox_en და <https://www.oecd.org/daf/competition/assessment-toolkit.htm>

ქვემოთ მოცემული კითხვები აღებულია OECD-ის კონკურენტუნარიანობის შეფასების ტესტიდან. ისინი უნდა დაისვას თითოეულ განხილულ საკანონმდებლო ინიციატივის ვარიანტთან მიმართებით. რომელიმე კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, აუცილებელია კონკურენციის შეზღუდვის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის დასაბუთება. აგრეთვე, უნდა მიუთითოთ, თუ ამგვარი შეზღუდვა არამართებულია.

ტესტი	აღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივა...
1. ამცირებს თუ არა საკანონმდებლო ინიციატივა ბაზარზე არსებული ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობას ან მრავალფეროვნებას?	<ul style="list-style-type: none"> ✓ ბიზნეს-სუბიექტს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებებს; ✓ ითვალისწინებს საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ლიცენზიის, ნებართვის ან ავტორიზაციის შემოღებას; ✓ ზღუდავს ზოგიერთი ბიზნეს-სუბიექტის მიერ საქონლის ან მომსახურების მიწოდებას; ✓ მნიშვნელოვნად ზრდის ბიზნეს-სუბიექტის ბაზარზე შესასვლელად ან ბაზრის დასატოვებლად საჭირო ხარჯებს; ✓ დაბრკოლებას უქმნის საქონლის, მომსახურებების, კაპიტალის ან სამუშაო ძალის თავისუფალ მოძრაობას
2. უქმნის თუ არა საფრთხეს ინიციატივა ბიზნეს-სუბიექტთა კონკურენტუნარიანობას?	<ul style="list-style-type: none"> ✓ ზღუდავს ბიზნეს-სუბიექტების შესაძლებლობას, დააწესონ სასურველი ფასი საკუთარ პროდუქციაზე; ✓ ზღუდავს ბიზნეს-სუბიექტების შესაძლებლობას ან თავისუფლებას თავიანთი პროდუქციის პოპულარიზაციაში; ✓ საჭიროებს ტექნიკური ან ხარისხის ნორმების დაცვას, რაც უპირატესობას ანიჭებს ზოგიერთ ეკონომიკურ სუბიექტს ან აღემატება იმ გარკვეულ ზღვარს, რომელსაც კარგად ინფორმირებული მომხმარებლები აირჩევდნენ; ✓ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ბაზარზე უკვე მოქმედ და ახლადშესულ ბიზნეს-სუბიექტებს

<p>3. ამცირებს თუ არა ინიციატივა კონკურენციას ბიზნეს-სუბიექტებს შორის, მათ შორის, შეთქმულების წახალისების გზით?</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ აწესებს თვითრეგულირების ან თანარეგულირების რეჟიმს; ✓ ავალდებულებს ან უბიძგებს ბიზნეს-სუბიექტებს, გაასაჯაროონ ინფორმაცია საკუთარი პროდუქციის, ფასების, გაყიდვების ან ხარჯების შესახებ; ✓ ათავისუფლებს კონკრეტულ ინდუსტრიაში მოქმედ ბიზნეს-სუბიექტებს ან ბიზნეს-სუბიექტთა გარკვეულ ჯგუფს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვისგან
<p>4. ზღუდავს თუ არა ინიციატივა მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას და არჩევანს?</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ზღუდავს მომხმარებელთა შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტონ, ვისგან შეიძენენ საქონელს/მომსახურებას; ✓ ამცირებს მომხმარებელთა მობილურობას საქონლის ან მომსახურების მომწოდებლებს შორის მომწოდებლების პირდაპირი ან არაპირდაპირი ხარჯების გაზრდით

II.2. არაპირდაპირი ზეგავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე

საკანონმდებლო ცვლილებით გამოწვეული არაპირდაპირი ზეგავლენა მოიცავს იმ ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილონ ან არ დააკმაყოფილონ საკანონმდებლო მოთხოვნები. მსგავს ცვლილებებს ვაწყდებით ღირებულებისა და მიწოდების ჯაჭვების მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებულ ბაზრებსა თუ სექტორებში. ასეთი ტიპის ცვლილებები ეხებათ მომხმარებლებსაც და სხვა დაინტერესებული მხარეებსაც, რომლებიც უშუალოდ არ წარმოადგენენ საკანონმდებლო ცვლილების სამიზნეს.

როგორც წესი, არაპირდაპირი ხარჯები იწვევს ფასების ან/და საქონლის ხარისხის ან/და მასზე წვდომასთან დაკავშირებულ ცვლილებას, რომელიც დაფიქსირდა საკანონმდებლო ცვლილების სამიზნე სექტორში/ღირებულებათა ჯაჭვში. ფასების ამგვარი ცვლილება კი შემდეგ ზეგავლენას ახდენს ზოგადად ეკონომიკაზე და აიძულებს ეკონომიკურ ოპერატორებს, გადახედონ როგორც თავიანთ ინვესტიციებთან/შესყიდვებთან, ასევე წარმოებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. მცირე და საშუალო საწარმოები შესაძლოა, ჯაჭვის დასაწყისში, შუაში ან ბოლოში იყოს.

საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო პირდაპირი ხარჯების შეფასება გაცილებით მარტივია, ვიდრე არაპირდაპირი ხარჯებისა. ამ უკანასკნელის შეფასება კი ყოველთვის საჭირო არ არის. იმის დასადგენად, აუცილებელია თუ არა მოსალოდნელი არაპირდაპირი ხარჯების შეფასება, საჭიროა პირდაპირი კომუნიკაცია მცირე და საშუალო საწარმოებთან და მათ ასოციაციებთან - იხ. თავი II.3. თუ აღნიშნული ხარჯების სრულყოფილად დათვლა (მონეტიზირება) შეუძლებელია, სასურველია არაპირდაპირი ხარჯების ხარისხობრივი შეფასება.

არაპირდაპირი ხარჯები შესაძლოა, სხვადასხვა სახის იყოს. პრაქტიკული სახელმძღვანელოს ამ ნაწილში განხილულია შემდეგი კატეგორიები:

- ✓ გავლენა პროდუქტიულობის დონეებზე;
- ✓ გავლენა კვლევასა და განვითარებაზე (R&D), ასევე ინოვაციაზე;
- ✓ გავლენა ვაჭრობაზე.

ჩამოთვლილი კატეგორიებიდან თითოეულმა შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კონკურენტუნარიანობაზე.

ევროკომისიის რეკომენდაცია #21 სექტორული კონკურენტუნარიანობის შესახებ, რეკომენდაცია #22 კვლევისა და ინოვაციების შესახებ, ასევე რეკომენდაცია #27 საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ შეიცავს როგორც ინფორმაციას, ასევე ბმულებს აღნიშნული ზეგავლენის შემდგომი რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. იხ. https://commission.europa.eu/law/law-making-process/planning-and-proposing-law/better-regulation/better-regulation-guidelines-and-toolbox/better-regulation-toolbox_en.

II.2.1. გავლენა პროდუქტიულობის დონეებზე

პროდუქტიულობა გულისხმობს პროდუქტიული ძალისხმევის ეფექტიანობას, რომელიც გამოითვლება გამოშვების მაჩვენებლით შემავალი რესურსის ყოველ ერთეულზე. განხორციელებული ძალისხმევის ხარისხის და მოცულობის ცვლილება გავლენას ახდენს საწარმოს ეფექტიანი ოპერირების უნარზე.

SME ტესტის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი საკითხების განხილვა:

- ✓ იქონიებს თუ არა საკანონმდებლო ინიციატივა გავლენას *საქონლისა და მომსახურების შუალედური მოხმარების ფასებსა და ღირებულებაზე?* (მაგ., გავლენა ნედლეულის ღირებულებაზე ან მასთან დაკავშირებულ წვდომაზე, ტექნოლოგიებზე არსებულ წვდომაზე, მაგ., იმპორტზე კვოტის და ტარიფების დაწესების ან სახიფათო ნივთიერებების გამოყენებაზე შეზღუდვების დაწესების შედეგად);
- ✓ იქონიებს თუ არა საკანონმდებლო ინიციატივა გავლენას *კაპიტალურ ხარჯებზე?* (მაგ., ღირებულება ან ფინანსურ უზრუნველყოფაზე, კაპიტალზე წვდომა, ალჭურვილობასთან დაკავშირებული ხარჯი);
- ✓ იქონიებს თუ არა საკანონმდებლო ინიციატივა გავლენას *სამუშაო ძალის ხარჯებზე?* (მაგ., საპენსიო ასაკის, მინიმალური ანაზღაურების ან სოციალურ დაზღვევაში შენატანის განაკვეთის ცვლილების შედეგად, აგრეთვე, სამუშაო ძალის მობილურობის წახალისების/შეზღუდვის შედეგად);
- ✓ იქონიებს თუ არა საკანონმდებლო ინიციატივა გავლენას *ენერჯის* ხარჯებზე?

II.2.2. გავლენა კვლევასა და განვითარებაზე (R&D) და ინოვაციაზე

პროდუქტიულობის ზრდა აგრეთვე განპირობებულია ტექნოლოგიური პროგრესით. დროთა განმავლობაში სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებები და, შესაბამისად, კომპანიების შესაძლებლობის/სტიმულის ცვლილება, შეიქმნას ინოვაციური პროდუქტი, ხელს უშლის მათ, დანერგონ მოწინავე ტექნოლოგიები და მიიღონ შესაბამისი სარგებელი, რის შედეგადაც ხდებიან ნაკლებად კონკურენტუნარიანები. ინოვაციის სტიმულირება შესაძლოა, განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით:

- ✓ დრო, რომელიც პროდუქტის ავტორებს სჭირდებათ საკუთარი პროდუქტის/მომსახურების ბაზარზე გასატანად, ასევე იმისათვის, რომ მოახდინონ კვლევისა და განვითარებაში განხორციელებული ინვესტიციების მატერიალიზაცია (ე.წ. “Time-to-Market”);
- ✓ საწარმოს ბიუჯეტის წილი, რომელიც გამოყოფილია კვლევისა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებისათვის, რომელიც უნდა გაიხარჯოს უკვე არსებული პროდუქტის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად (ე.წ. „თავდაცვითი კვლევა და განვითარება“);
- ✓ საწარმოს არამატერიალური აქტივების დაცვის დონე (მაგ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, პატენტები, სავაჭრო ნიშნები და ა.შ.);
- ✓ მომხმარებლებს შორის საწარმოს პროდუქტის/მომსახურების სტიგმატიზირების დონე.

რეგულირება და ინოვაცია: მცირე და საშუალო საწარმოებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები

ცნება Time-to-Market ნიშნავს დროს, რომელიც საჭიროა პროდუქტის ჩანაფიქრიდან მის ბაზარზე გატანამდე. ეს მნიშვნელოვანია, რადგან რაც უფრო დიდია აღნიშნული პერიოდი, მით უფრო მეტია პროდუქტის განვითარების კაპიტალიზებული ხარჯები (CDC). აღნიშნული ხარჯების გაწევა უწევს პროდუქტის შემქმნელს (ინოვაციური მცირე ან საშუალო ზომის საწარმო) და წარმოადგენს მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, რომელიც საწარმოს უნდა დაუბრუნდეს სამომავლო ფულადი ნაკადიდან (გადასახადების შემდეგ) მას შემდეგ, რაც პროდუქტი გავა ბაზარზე. პროდუქტის განვითარების კაპიტალიზებულ ხარჯებზე (CDC) გავლენას ახდენს სასესხო კაპიტალის ღირებულება, ბუნდოვანი მარეგულირებელი კანონმდებლობა და ბაზრის სიდიდე.

- ✓ “Time-to-Market” ზეგავლენის მაგალითია პერიოდი, რომელიც საჭიროა ახალი მედიკამენტის ბაზარზე გასატანად. სხვადასხვა საკანონმდებლო მოთხოვნის თანახმად, მწარმოებელი ვალდებულია, გაიაროს მრავალი ტესტირება, შემოწმება და ხანგრძლივი ავტორიზაციის პროცესი, რამაც შესაძლოა, შეამციროს კომპანიების სურვილი, განახორციელონ ინვესტირება ინოვაციებში. კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების წარმატებით შექმნისა და კომერციალიზაციის მიზეზი სწორედ მარეგულირებელი ორგანოების მიერ ბაზარზე დასაშვებად ავტორიზაციის პროცესის ხანგრძლივობის შემცირება გახდა.

თავდაცვითი კვლევა და განვითარება არის შემთხვევა, როდესაც კვლევისა და განვითარებისათვის გამოყოფილი მწირი რესურსების გამოყენება არსებული პროდუქტის ან პროცესების „დაცვის“ მიზნით უნდა განხორციელდეს (მაგ., საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის შენარჩუნება) იმის მაგივრად, რომ არსებული რესურსი მოხმარდეს ახალ იდეებსა და ინოვაციური პროდუქტების შექმნას. ამგვარად, ნებისმიერ ისეთ საკანონმდებლო ცვლილებას, რომელიც კომპანიებს აყენებს თავდაცვითი კვლევისა და განვითარების საჭიროების წინაშე, მოსდევს ე.წ. ალტერნატიული დანახარჯი (კვლევისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი

მხოლოდ ერთხელ იხარჯება). ის მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთა ფინანსური აქტივებიც მყიდვია შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ვერ შეძლებს გაილოს ორმაგი ხარჯი უკვე არსებული პროდუქციის შენარჩუნებისა და ინოვაციებში ინვესტიციების განსახორციელებლად. ამან კი შესაძლოა, გამოიწვიოს პროდუქციის წარმოების შეწყვეტა, ბაზრის შეკვეცა და ეკონომიკის დინამიკურობის შემცირება.

- ✓ თავდაცვითი კვლევისა და განვითარების პოლიტიკის მაგალითია ევროპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სექტორი. ტრაქტორებიდან და კომბაინებიდან გამოყოფილი ემისიების შესახებ რეგულაციების გამკაცრებამ შთანთქა აღნიშნულ ინდუსტრიაში არსებული კვლევისა და განვითარების სფეროსათვის განკუთვნილი ბიუჯეტის დიდი ნაწილი, რათა კომპანიებს შეძლებოდა ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, რამაც შეამცირა ინოვაციური პროდუქტების გაჩენა სხვა სექტორებში (მაგ., ზუსტი სოფლის მეურნეობა).

პროდუქტის სტიგმატიზაცია - სტიგმატიზაცია არის მომხმარებლების მიერ ამა თუ იმ საკითხის (მაგ., ნივთიერების, ტექნოლოგიის ან პროდუქციის მახასიათებლის) უარყოფითად შეფასების შედეგი. ეს შესაძლოა, გამოიწვიოს საზოგადოების მიერ აღქმული რისკების გაძლიერებამ რაც, თავის მხრივ, შეიძლება განპირობებული იყოს მედიაში გამოთქმული განცხადებებით. შედეგად კი იცვლება მომხმარებლების პრეფერენციები და მოხმარების მახასიათებლები, რაც გავლენს ახდენს მწარმოებლების მიერ აღნიშნული პროექტების კვლევისა და განვითარების საკითხებში ინვესტიციის განხორციელების სტიმულზე.

- ✓ პროდუქტის სტიგმატიზირების მაგალითია გარკვეული ქიმიური ნივთიერებების შეყვანა სახიფათო ნივთიერებების სიაში შესაბამისი მეცნიერული მტკიცებულებების დართვის გარეშე. აგრეთვე, მომხდარა ზოგიერთი ტიპის ბიო-ტექნოლოგიის სტიგმატიზირებაც.

ამგვარად, შესაძლებელია შემდეგი საკითხების განხილვა:

- ✓ იქონიებს თუ არა ზეგავლენას საკანონმდებლო ინიციატივა საწარმოს სურვილზე/ შესაძლებლობაზე, შექმნას *ინოვაციური პროდუქტები?* (მაგ., *გამოუშვას ბაზარზე ახალი პროდუქტი/მომსახურება ან/და გააუმჯობესოს უკვე არსებული პროდუქტი/მომსახურება*);
- ✓ იქონიებს თუ არა ზეგავლენას საკანონმდებლო ინიციატივა საწარმოს სურვილზე/ შესაძლებლობაზე, გახადოს საკუთარი საქმიანობის *პროცესი მეტად ინოვაციური?* (მაგ., პროდუქტებისა და მომსახურებების წარმოების, დისტრიბუციისა და გაყიდვის პროცესის მართვის/საოპერაციო ეფექტიანობის ზრდა);
- ✓ იქონიებს თუ არა ზეგავლენას საკანონმდებლო ინიციატივა *რისკ-კაპიტალზე* ან *კვლევისა და განვითარებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით არსებულ* წვდომაზე? (მაგ., ერთობლივი საწარმო, ეროვნული/ევროპული ფონდები, სასესხო პოტენციალი...).

II.2.3. გავლენა ვაჭრობაზე

გარე ბაზრებზე ვაჭრობისა და ინვესტიციების განხორციელების მიზნით წვდომის შესაძლებლობა წარმოადგენს განვითარების და სამუშაო ადგილების შექმნის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს. სავაჭრო ბარიერები, ძირითადად, სატარიფო ღონისძიებებითაა განპირობებული. საქართველოს შემთხვევაში, ასეთი ტიპის სატარიფო ზომები ძირითადად გაუქმებული ან შემცირებულია მას შემდეგ, რაც ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, აგრეთვე ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ორმხრივი სავაჭრო შეთანხმების შედეგად. მეორე მხრივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც, თავის მხრივ, შესაძლოა, წარმოადგენდეს არასატარიფო ბარიერებს, რომლებიც აფერხებს ვაჭრობის პროცესს.

SME ტესტი არ უნდა ითვალისწინებდეს საკანონმდებლო ინიციატივის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სხვა სავაჭრო შეთანხმებების დებულებებთან თავსებადობის შეფასების ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, რომ საკანონმდებლო ინიციატივა არ ახდენს არათანაზომიერ გავლენას მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ვაჭრობის შესაძლებლობებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი შეესაბამება საქართველოს ვალდებულებებს საერთაშორისო პარტნიორების წინაშე. შეფასებისას უნდა დარწმუნდეთ, რომ ქართული მცირე და საშუალო საწარმოები არ აღმოჩნდება არახელსაყრელ პოზიციაში უცხოურ კონკურენტებთან ან უფრო დიდ, ადგილობრივ კომპანიებთან შედარებით.

გახსოვდეთ, რომ ზეგავლენა ვაჭრობის პროცესზე შესაძლოა, ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე გამოვლინდეს და არა მხოლოდ იქ, სადაც განხილული მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ოპერირებს. მაგ., ეს შესაძლოა შეეხოს უცხოურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოში საქმიანობით. შესაბამისად, თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ინიციატივა განსაკუთრებულ ზეგავლენას იქონიებს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაზე, კონსულტაციებისას, რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების პროცესში, შეძლებისდაგვარად უნდა დაუკავშირდეთ ქართველ იმპორტიორებს და მესამე ქვეყნების ოპერატორებს.

ამგვარად, შესაძლებელია შემდეგი საკითხების განხილვა:

- ✓ რა გავლენას იქონიებს ცვლილება ქართული *მცირე და საშუალო ზომის საწარმოების* კონკურენტუნარიანობაზე მათ უშუალო უცხოურ კონკურენტებთან მიმართებით?
- ✓ ვრცელდება თუ არა საკანონმდებლო ინიციატივა იმ სექტორზე, რომელიც რეგულირდება *საერთაშორისო სტანდარტებით, საერთო რეგულირების ნორმებით ან საერთაშორისო ნორმატიული* დოკუმენტებით?
- ✓ შესაძლოა თუ არა, საკანონმდებლო ინიციატივამ გამოიწვიოს *ტრანსსასაზღვრო ინვესტიციების* შემოდინება საქართველოში, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობისა ან მათი საზღვრებს გარეთ გატანა?

II.2.4. დასკვნების ფორმულირება

სამი მიმართულებით მოსალოდნელი ცვლილებების იდენტიფიცირების შემდეგ, საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოებზე მოსალოდნელი ზეგავლენის გამოვლენა:

- ✓ რა იქნება მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ხარჯები?
- ✓ გახდება თუ არა საჭირო სექტორის ფუნდამენტური რესტრუქტურის რეორგანიზაცია? (მაგ., საწარმოო ხაზების გაუქმება, ტექნოლოგიების და უნარების ჩანაცვლება და ა.შ.);
- ✓ შესაძლოა თუ არა ამან საწარმოების დახურვა გამოიწვიოს?
- ✓ შეძლებენ თუ არა მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, ასევე მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოები რესტრუქტურის რეორგანიზაციისთვის საჭირო ხარჯების გადაებას?

ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის გაცემა დაგეხმარებათ იმის დადგენაში, საჭიროა თუ არა *ალტერნატიული მექანიზმებისა და ზომების შემუშავება როგორც მცირე, ასევე საშუალო ზომის საწარმოებზე* ზეგავლენის შემცირების მიზნით. იხ. ტესტის მეთოდოლოგიის IV.3 ნაბიჯი.

II.3. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კონსულტირების ინდივიდუალური მიდგომების შემუშავება

SME ტესტის ფარგლებში, თქვენ მიერ მონაცემების შეგროვების და კონსულტაციების ჩატარების პროცესი მორგებული უნდა იყოს თქვენს საჭიროებებზე. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან დაკავშირება შესაძლოა იყოს თქვენ მიერ ჩატარებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ნაწილი; მაგ., შეგიძლიათ, პროცესში დაამატოთ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის განკუთვნილი კითხვარი ან დაგეგმოთ დამოუკიდებელი აქტივობები.

სწორედ ამიტომ, მცირე და საშუალო საწარმოების კონსულტირებისთვის საჭირო ძალისხმევა შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. არსებული მწირი რესურსების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია თანაზომიერი მიდგომის მოძებნა. ამგვარად, სამომავლო ქმედებების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ ორი ფაქტორი — საკანონმდებლო ინიციატივის კომპლექსურობა და მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა, რომელიც შეგიძლიათ დაიტანოთ კონსულტაციების გრაფიკზე, ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის გათვალისწინებით.

შემოთავაზებული მიდგომის შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოცემულ 2013 წლის საკონსულტაციო ანგარიშში. მის სანახავად (ფრანგულ ენაზე) ეწვიეთ ბმულს: http://www.entreprises.gouv.fr/files/files/directions_services/dgcis/consultation-publique/guide-pratique-consultation-entreprises.pdf

როგორ გამოიყენოთ თქვენი ძალისხმევა მცირე და საშუალო საწარმოებთან კონსულტაციების ჩატარებისას?

ნაბიჯი 1. განიხილეთ და შეაფასეთ ინიციატივის კომპლექსურობა


საკითხი	ინიციატივის კომპლექსურობა			შეფასება	შენიშვნები
1.ა. არსებობს თუ არა ინიციატივის მიღების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი საზღვრები?	არა, უმნიშვნელო საზღვრები (0 ქულა)	---	დიახ, არსებობს დადგენილი საზღვრები (3 ქულა)		
1.ბ. მოითხოვს თუ არა ინიციატივა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიერ დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებას?	არა (0 ქულა)	დიახ, საჭიროებს უმნიშვნელო მოთხოვნების დაკმაყოფილებას (1 ქულა)	დიახ, საჭიროებს მნიშვნელოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას (3 ქულა)		
1.გ. მოითხოვს თუ არა ინიციატივა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიერ ადმინისტრაციული პროცედურის შეცვლას?	არა (0 ქულა)	დიახ, საჭიროებს არსებული პროცედურის მოდიფიკაციას (იმ შემთხვევაშიც, თუ ცვლილება გულისხმობს გამარტივებას) (1 ქულა)	დიახ, საჭიროებს სრულიად ახალი პროცედურის დანერგვას (3 ქულა)		
1.დ. შეცვლილა თუ არა წარსულში საკანონმდებლო ინიციატივის დებულებები?	არა, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა (0 ქულა)	ცვლილებები განხორციელდა უკანასკნელი 1-5 წლის განმავლობაში (1 ქულა)	ახალი პროცედურის შემოღებიდან ან ცვლილებების მიღებიდან გასულია 1 წელზე ნაკლები (3 ქულა)		
1.ე. რამდენ საჯარო დაწესებულებას უნდა მიმართონ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად?	არცერთს (0 ქულა)	1 ან 2 საჯარო დაწესებულებას (1 ქულა)	2 საჯარო დაწესებულებაზე მეტს (3 ქულა)		
1.ვ. გაქვთ თუ არა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ მოცემულ ინიციატივას მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მისი დამტკიცების შემთხვევაში?	არ ვიცი / წინააღმდეგობის გარეშე (0 ქულა)	ადგილი ექნება უკმაყოფილებას (1 ქულა)	გამოიწვევს ძლიერ უკმაყოფილებას / წინააღმდეგობას (3 ქულა)		
საერთო შედეგის კომპლექსურობის მაჩვენებელი (ინდივიდუალური შეფასებების ჯამი)					

ნაბიჯი 2. განიხილეთ და შეაფასეთ მოსალოდნელი ზეგავლენა

საკითხი	ინიციატივით გამოწვეული ზეგავლენა			შეფასება	შენიშვნები
2.ა ბიზნეს-სუბიექტების რა ნაწილზე იქონია ინიციატივამ ზეგავლენა (ბიზნეს-სუბიექტების რიცხვი)?	3 %-ზე ნაკლები (7,445 კომპანია) (0 ქულა)	3%-დან (7,445 კომპანია) 20%-მდე (49,634 კომპანია) (1 ქულა)	20%-ზე მეტი (49,634 კომპანია) (3 ქულა)		
2.ბ. აღნიშნული ბიზნეს-სუბიექტებიდან რამდენია მცირე და საშუალო ზომის საწარმო?	20%-ზე ნაკლები (0 ქულა)	20%-დან 60%-მდე (1 ქულა)	60%-ზე მეტი (3 ქულა)		
2.გ. ეხება თუ არა ინიციატივა კონკრეტულად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს?	არა (0 ქულა)	---	დიახ (3 ქულა)		
2.დ. მოიაზრებს თუ არა ინიციატივა გადასახადის ან მოსაკრებლის დაწესებას?	გადასახადის/ მოსაკრებლის დაწესება გათვალისწინებული არ არის (0 ქულა)	არსებული გადასახადის/ მოსაკრებლის ცვლილება (1 ქულა)	ახალი გადასახადის/ მოსაკრებლის დაწესება (3 ქულა)		
2.ე. რა მოსალოდნელი ზეგავლენა ექნება ინიციატივას ბიზნეს-სუბიექტებზე?	მინიმალური, შესაძლოა ბიზნეს-სუბიექტებმა შეძლონ ფინანსების დაზოგვა (-1 ქულა)	საშუალო ზეგავლენა (1 ქულა)	დიდი ზეგავლენა (3 ქულა)		
2.ვ. რთულია თუ არა კონსულტაციის გარეშე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ხარჯების დაანგარიშება?	არა (0 ქულა)	საშუალო სირთულისაა (1 ქულა)	ძალიან რთულია (3 ქულა)		
ზეგავლენის ჯამური მაჩვენებელი (ინდივიდუალური შეფასებების ჯამი)					

ნაბიჯი 3. დაიტანეთ ჯამური მაჩვენებელი კონსულტაციების ბადეზე

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში კონსულტაციების ჩატარების რეკომენდებული სტრუქტურა შექმნილია კომპლექსურობისა და ზეგავლენის მაჩვენებლების გაერთიანებით ქვემოთ მოცემული ბადის გამოყენებით.



მარტივი კონსულტაცია - მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს მიეწოდება ინფორმაცია ინიციატივის შესახებ (მაგ., ელ.ფოსტის მეშვეობით ან სამინისტროს ვებგვერდიდან), რის შემდეგაც მათ შეუძლიათ უკუკავშირის დატოვება (თუმცა, სავალდებულო არ არის). როგორც წესი, მსგავსი ტიპის კონსულტაციები არ გრძელდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

შეტყობინება და შემდგომი ინფორმაციის მიწოდება - მაგ., ფოკუს-ჯგუფთან შეხვედრის ორგანიზების გზით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებითი ინტერვიუებისა და გამოკითხვების ჩატარება.

კონსულტაციების ჩატარებისას დაცული უნდა იყოს კონსულტაციის ჩატარების მინიმალური ხანგრძლივობის ვადა.

ჩართულობაზე დაფუძნებული მიდგომა - ერთზე მეტი ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება, შესაძლებლობის შემთხვევაში, სხვადასხვა ტიპის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მონაწილეობით. რეკომენდებულია დამატებითი გამოკითხვების ჩატარება. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს უნდა მიეცეს მაქსიმალური შესაძლო ვადა პროექტში ჩასართავად.

● ინიციატივა (მაგალითი)

ნაწილი III.

III.1. შესავალი

III.1.1 გაცნობითი ნაწილი

ამ თავში გაგაცნობთ, თუ როგორ უნდა ჩაატაროთ SME ტესტი. ტესტის რეალიზმის ზრდისა და იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება მისი ჩატარებით რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) პროცესის მხარდაჭერა. ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა, შეიმუშავა მაგალითი, რომელიც ეფუძნება 2017 წლის „წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასებას“.¹⁰

მოცემული თავის სტრუქტურა შემდეგნაირია: შესავალი ეხება კონტექსტის აღწერას, რომლის გათვალისწინებითაც ჩატარდა წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება. მეორე ნაწილში განხილულია დაინტერესებული მხარეების RIA-ს მიმდინარეობისას ჩატარებული კონსულტაციები, რა მონაცემები შეგროვდა, სად და როდის. საუბარია აგრეთვე კონსულტაციების შედეგად განხორციელებულ მსჯელობაზე და იმაზე, თუ როგორ შეფასდა გამოტოვებული მონაცემები. გარდა ამისა, განხილულია, როგორ შეიცვლებოდა ყველა ჩამოთვლილი ნაბიჯი იმ შემთხვევაში, თუ ანალიზი დაფუძნებული იქნებოდა კომპლექსური SME ტესტის შემუშავებაზე, რა ტიპის დამატებითი ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება იქნებოდა შესაძლებელი SME ტესტის მეტი სიზუსტისათვის და რა გზით განხორციელდებოდა ჩამოთვლილი მონაცემების შეგროვება. მესამე ნაწილი ეთმობა წინასწარი განაწილების ანალიზს წინა საფეხურზე მოპოვებული შედეგების გამოყენებით. მეოთხე ნაწილში განიხილება, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ხარჯების კალკულატორი შესაბამისობის მთლიანი ხარჯების მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად. გარდა ამისა, მეოთხე ნაწილში განვიხილავთ, ხომ არ არის მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე არაპროპორციულად დიდი გავლენა. მეხუთე თავში შევეხებით, როგორ უნდა შეფასდეს ალტერნატიული მექანიზმები და შემსუბუქების ღონისძიებები. ბოლო ნაწილში კი მიმოხილულია როგორ უნდა შეივსოს SME ტესტის შაბლონი.

III.1.2 მოკლე ინფორმაცია გამოყენებული მაგალითის შესახებ

2017 წლისთვის საქართველოში ძალაში იყო წყლის რესურსების მარეგულირებელი რამდენიმე კანონი, რომელთა უმეტესობაც 90-იან წლებში იყო მიღებული. წყლის პოლიტიკის მიზნებისა და პრინციპების განმსაზღვრელი ძირითადი კანონი, რომელიც არეგულირებს წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური მოხმარების საკითხებსაც, აგრეთვე სასმელი წყლის მიწოდების მნიშვნელობის და წყალზე არსებული მავნე ზემოქმედების პრევენციისა თუ კონტროლის საკითხებს, არის 1997 წელს მიღებული „კანონი წყლის შესახებ“. სხვა კანონები ეხება კონკრეტულად მიწისქვეშა წყლების (1996 წლის „კანონი წიაღის შესახებ“) და სანაპირო წყლების რეგულირებას (1997 წლის „საზღვაო კოდექსი“ და 1998 წლის „კანონი საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“).

10. RIA-ს ელექტრონული ვერსიის გადმოსაწერად გადადით ბმულზე: <https://iset-pi.ge/ka/publications/ria/1889-regulatory-impact-assessment-ria-on-law-of-water-resources-management>

წლების განმავლობაში ზემოთ ჩამოთვლილ კანონებში გარკვეული დებულებები შეიცვალა. კონკრეტულად კი ზოგიერთი მარეგულირებელი მექანიზმი, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელის შემშლელად ითვლებოდა, შეიცვალა ან/და გაუქმდა 2003¹¹ წლის შემდეგ, რის შედეგადაც კანონმდებლობაში დარჩა ხარვეზები, რომლებიც ამ დრომდე არ აღმოფხვრილა.

2016 წლის UNECE-ის მიმოხილვაში გარემოსდაცვითი საქმიანობის შესახებ არსებული კანონმდებლობა აღწერილია, როგორც „არაქმედითი და ფრაგმენტული სისტემა, რაც გამოწვეულია იმით, რომ კანონმდებლობაში შემავალი დებულებების უმრავლესობა მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას“. სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების არსებობამ გამოიწვია გაურკვევლობა წყლის სექტორში და აღნიშნული სექტორის შემადგენელი ისეთი ძირითადი სფეროების არაეფექტიანი მართვა, როგორებიცაა: ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენება და წყლის ობიექტების დაბინძურება.

საქართველოს მთავრობას ჰქონდა დამატებითი მოტივაცია წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობის შესაცვლელად, რათა შეესრულებინა 2014 წლის ივნისში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით ნაკისრი ვალდებულებები. ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის პრინციპების დანერგვა საქართველოს წყლის რესურსების სექტორში არსებული გამოწვევების გადაჭრის გზად განიხილებოდა, რომელთაგან მთავარ გამოწვევას წყლის დაბინძურება და წყლის რესურსების არაეფექტიანი გამოყენება წარმოადგენდა.

RIA-ს შედეგად დადასტურდა, რომ წყლის რესურსების მდგრადი და ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად საქართველოს წყლის რესურსების მართვის სისტემა არ იყო ეფექტიანი. ქართული კონტექსტის გათვალისწინებით გამოვლენილი ყველაზე პრობლემური საკითხები განპირობებული იყო:

- ✓ არასწორი ეკონომიკური სტრატეგიით;
- ✓ სტრატეგიული, სამართლებრივი და ინსტიტუციური ხარვეზებით;
- ✓ წყლის რესურსების სათანადო მართვისთვის საჭირო ფინანსური რესურსების ნაკლებობით.

RIA-ს ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ მიუხედავად წყლის რესურსების მართვის სათანადო სისტემის არსებობისა, ეს ჯერ კიდევ არ წარმოადგენს კრიტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხს წყლის რესურსების სიმრავლისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის გამო. არსებული ტენდენციები (წყლის მოხმარების გაზრდა — წყლის მნიშვნელოვანი დანაკარგები, რასაც მოჰყვება წყალმომარაგების ობიექტების მომსახურების ხარისხის შემცირება) გვაფიქრებინებს, რომ წყლის ხარისხისა და მათ

11. მაგ., გაუქმდა გარემოს დაბინძურებისთვის დაწესებული გადასახადები, მათ შორის, წყლის დაბინძურებისთვის დაწესებული გადასახადები, აგრეთვე ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების და ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზირების სისტემები. გარდა ამისა, ასევე შემცირდა იმ აქტივობების ჩამონათვალიც, რომლებიც საჭიროებს გარემოსდაცვითი ორგანოების მიერ სპეციალური ნებართვების გაცემას.

წვდომის საკითხებს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, რაც გამოიწვევს ზეწოლას ბიზნეს-სუბიექტებსა და საოჯახო მეურნეობებზე.

RIA-ს ანალიზის შედეგად გამოვლინდა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ძირითადი მიზნები:

1. წყალმომარაგების თითოეული ობიექტის ხარისხის გაუმჯობესება დამაკმაყოფილებელ დონემდე;
2. მოსახლეობისთვის სასმელ წყალსა და სანიტარულ საშუალებებზე უწყვეტი წვდომის უზრუნველყოფა;
3. ყველა პოტენციური მომხმარებლისთვის წყალზე წვდომის უზრუნველყოფა;
4. წყლის რესურსების მოხმარების ალტერნატიული მეთოდების ეფექტიანი განაწილება;
5. ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის პრინციპებთან შესაბამისობა.

რამდენიმე კონკრეტული და საოპერაციო მიზანი შესაძლოა, ასოცირებულ იქნეს ზემოთ ჩამოთვლილ ზოგად მიზნებთან. შეზღუდული დროისა და რესურსების გამო, RIA-ს ანალიზში ყურადღება გამახვილებული იყო რეფორმის კონკრეტული (მაღალი ინტერესის მქონე) ასპექტების ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე (ზემოხსენებული ზოგადი მიზნების ჭრილში):

- ა. სააუზო მართვის სისტემის დანერგვა;
- ბ. წყლის რესურსების მართვის ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტების დანერგვა;
- გ. ცვლილებების განხორციელება წყალალბების სანებართვო სისტემაში;
- დ. ცვლილებების შეტანა მონიტორინგსა და პროცედურებში.

ჩვენს მაგალითში, SME ტესტისას, ყურადღებას გავამახვილებთ „ბ“ და „გ“ პუნქტებზე: წყლის რესურსების მართვის ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტების დანერგვასა და წყალალბების სანებართვო სისტემაში ცვლილებების განხორციელებაზე იმდენად, რამდენადაც RIA-ს ანგარიშში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ცვლილებები, სავარაუდოდ, გავლენას იქონიებს ბიზნეს-სუბიექტებზე.¹²

“ბ” და “გ” პუნქტები მოკლედ განხილულია ქვემოთ.

წყლის რესურსების მართვის ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტების დანერგვა

ინიცირებული კანონპროექტის ფარგლებში დაკისრებული გადასახადის ან/და მოსაკრებლის რაოდენობა უნდა განისაზღვროს „მომხმარებელი იხდის“ და „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპების საფუძველზე. ახალ კანონმდებლობაში კვლავ უნდა შესულიყო გადასახადი ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალალბებისა¹³ და წყალჩაშვებისათვის,

12. იხ. RIA-ს ანგარიშის 47-ე გვერდი.

13. აღნიშნული გადასახადები უნდა განსაზღვრულიყო საქართველოს კანონის ფარგლებში „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“.

რათა მომხდარიყო კერძო ინტერესებისა და საზოგადოებრივი ინტერესების თანხვედრა, ასევე გაზრდილიყო წყლის რესურსების მოხმარების ეფექტიანობა.

ცვლილებების განხორციელება წყალაღების სანებართვო სისტემაში

იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის მსგავსად, წყლის რესურსის მოხმარება დაჯგუფდა ორ კატეგორიად: საერთო წყალსარგებლობად და სპეციალურ წყალსარგებლობად.

საერთო წყალსარგებლობა გამიზნული იყო წყლის არაკომერციული, პირადი მიზნებით სარგებლობისთვის (სასმელი წყალი, წყლის შინამეურნეობებისთვის მოხმარება), რაც ხორციელდებოდა მარტივი ინფრასტრუქტურის გამოყენებით (არაუმეტეს 10 მ სიღრმის ლილვიანი ჭა ან 25 მ ჭაბურღილი). აღნიშნული ტიპის მოხმარება არ საჭიროებდა ნებართვის აღებას ან/და რამე სახის გადასახადს. სპეციალური წყალსარგებლობა განისაზღვრა „წყალსარგებლობის ისეთი ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამოყენებით, რომელმაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წყალმომარაგების ორგანოზე“¹⁴.

მოსალოდნელი იყო, რომ მიწისქვეშა წყლის ობიექტებით სპეციალური წყალსარგებლობა დარჩებოდა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁵ რეგულირების ქვეშ, ხოლო ზედაპირული წყლის ობიექტებით წყალსარგებლობის შემთხვევაში, შემოთავაზებული კანონმდებლობით მოითხოვდა შემდეგი სამი ტიპის ნებართვიდან ერთს:

- (ა) წყალაღება;
- (ბ) წყალჩაშვება;
- (გ) წყლის ობიექტით წყალსარგებლობის კომბინირებული ნებართვები.

გარდაამისა, კანონპროექტის ფარგლებში სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობები გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვებისთანავე გათავისუფლდებოდა წყალსარგებლობის ნებართვის აღების ვალდებულებისგან.¹⁶

კანონპროექტის თანახმად, წყალსარგებლობის ნებართვის მისაღებად განმცხადებელს უნდა წარმოედგინა ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების/წყალჩაშვების პროცესის ტექნიკური და ეკოლოგიური მახასიათებლების აღწერა. ზედაპირული წყლის ობიექტებით წყალსარგებლობის ნებართვა სამრეწველო მიზნებისათვის გაიცემოდა 5 წლით, სარწყავად — 10 წლით, ჰესებისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურისათვის კი 30 წლით. ნებართვის მქონე პირს საშუალება ექნებოდა დაემონტაჟებინა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ინფრასტრუქტურა, უზრუნველყო წყალსარგებლობის და წყალჩაშვების გაზომვა შესაფერისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

14. მნიშვნელოვანი გავლენა კი განისაზღვრა შემდეგნაირად: (ა) მავნე ნივთიერებების წყალჩაშვება (ბ) დღეში 20 კუბურ მეტრზე დიდი რაოდენობით წყალაღება.

15. საქართველოს კანონი წიაღის შესახებ, 1997 წლის 17 მაისი, #242-IIS.

16. ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები მოიცავს ყველა სამრეწველო თუ სამთომოპოვებით საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს გარემოზე, მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის (2 მგტ-ისა და მეტი სიმძლავრის) და თბოელექტროსადგურის (10 მგტ-ისა და მეტი სიმძლავრის) განთავსება, წყალსაცავის (10 000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის) მოწყობა, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების (დღე-ღამეში 1000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის), აგრეთვე მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსება. საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, 2007 წლის 14 დეკემბერი, # 5602 – RS.

პირებს, რომლებიც მანამდე ახორციელებდნენ საქმიანობას, რისთვისაც ნებართვის აღება იქნებოდა საჭირო, მიეცემოდათ 12-თვიანი ვადა საკუთარი ობიექტების საჭირო ტექნიკით აღსაჭურვად. წყლის ობიექტების დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით დაწესებული სანებართვო სისტემის ფარგლებში დადგენილი პირობების დაცვის მონიტორინგი დაეკისრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

RIA-ს ანალიზში შედარებულია ორი ძირითადი ალტერნატივა:

- ✓ ალტერნატივა 1: შემოთავაზებული რეგულაციების სრულად განხორციელება მონაცემთა მიმოცვლის პორტალის არსებობასა და მდინარეთა სააუზო მართვის გეგმის (RBWMP) შემუშავების პროცესში დონორთა მხარდაჭერასთან ერთად;
- ✓ ალტერნატივა 2: შემოთავაზებული რეგულაციების სრულად განხორციელება მონაცემთა მიმოცვლისა და დონორთა მხარდაჭერის გარეშე.

ჩვენს მაგალითში SME ტესტი ჩატარდება მე-2 ვარიანტს, რადგან გამოვლინდა, რომ ამ შემთხვევაში ბიზნეს-სუბიექტების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის გასაწევი ხარჯები არის ყველაზე დიდი, რაც გამოწვეულია იმით, რომ მეორე ვარიანტის შემთხვევაში, სახელმწიფოს არ ევალებოდა მონაცემთა მიმოცვლის სამსახურის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა მონაცემთა და ინფორმაციის მიმოცვლას კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. ჩვენი მსჯელობა დაფუძნებულია იმ მომენტისათვის შეგროვებულ მონაცემებზე, ხოლო წარმოდგენილი ვარაუდები იდენტიფიცირებულია ყველა ხელმისაწვდომი პარამეტრის შემთხვევაში.

III.2. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და მონაცემთა შეგროვება

საქართველოში წყლის რესურსების მართვის არსებული სისტემის, ეროვნული პოლიტიკის, არსებული პრობლემებისა და შემოთავაზებული რეგულაციების შესაძლო ზეგავლენის შესახებ მიმდინარე სიტუაციის სიღრმისეული მიმოხილვის მიზნით, RIA-ს ჯგუფმა გამოიყენა მრავალი მეთოდი: სამაგიდო კვლევა, ექსპერტების მიერ ლიტერატურის მიმოხილვა, ოფიციალური მონაცემების გამოთხოვა, სატელეფონო ინტერვიუები, გამოვლენილი, ფორმალური და არაფორმალური, დაინტერესებული მხარეების სიღრმისეული ინტერვიუები.

კონსულტაციებისა და ინფორმაციის შეგროვების პროცესი ორ ძირითად ეტაპად დაიყო:

ეტაპი 1: კონსულტაციების პირველი ეტაპის მიზანი — ძირითადი დაინტერესებული მხარეებისა და წყლის რესურსების მართვის სისტემის შემადგენელი ყველა ინსტიტუციური რგოლის გამოვლენა; პრობლემების გამოაშკარავება და მათი ხასიათისა თუ გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა; ახალი კანონმდებლობის ძირითადი ამოცანების განსაზღვრა.

ეტაპი 2: გუნდმა თითოეული დაინტერესებული მხარისგან მიიღო უკუკავშირი, რათა გაეგოთ მათი მოსაზრებები.

ცხრილი 3.1. ასახავს გავლენა/დაინტერესების ცხრილს. მასში მითითებულია ის ძირითადი დაინტერესებული მხარეები, ვისთანაც ჩატარდა კონსულტაციები.

ცხრილი 3.1 გავლენა/დაინტერესების ცხრილი

გავლენა / ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია; ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ადგილობრივი მუნიციპალიტეტები; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; პარლამენტი.
მაღალი ინტერესი	ინდუსტრიული წყლის რესურსების მომხმარებლები; ჰიდროენერგეტიკული დეველოპერები; თბოელექტროსადგურები; ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (GWP); ადგილობრივი წყლის მიმწოდებლები; საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვის პროექტი; არასამთავრობო ორგანიზაციები.	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; გარემოს ეროვნული სააგენტო; საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია); შპს საქართველოს მელიორაცია (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია); სურსათის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

წყარო: წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონის რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA)

კონსულტაციებისა და ინფორმაციის შეგროვების ორი თანმიმდევრული ფაზის განმავლობაში RIA-ს ფარგლებში შეგროვებული შესაბამისი მონაცემების მოკლე ჩამონათვალი, შეგროვებულ დამატებით ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილია ცხრილ 3.2-ში.

ცხრილი 3.2 შეგროვებული მონაცემები და ინფორმაცია

მონაცემები და ინფორმაცია	გამოყენებული მეთოდები / წყარო
ეკონომიკური აქტივობა წყლის აუზებში შემავალი სექტორების მიხედვით (ეკონომიკური სტრუქტურა, დასაქმების მაჩვენებელი, ბრუნვა და ა.შ.)	სამაგიდო კვლევა / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
ბიზნეს-სტატისტიკა	სამაგიდო კვლევა / საქსტატის ბიზნეს-სტატისტიკა
სტატისტიკა წყალმომხმარებლების შესახებ, აუზისა და სექტორის მიხედვით	წყალსარგებლობის სტატისტიკა სექტორებისა და შავი/კასპიის ზღვის აუზების მიხედვით კონსულტაცია / USAID-ის კვლევა
წყალსარგებლობის სტატისტიკა სექტორებისა და შავი/კასპიის ზღვის აუზების მიხედვით	სამაგიდო კვლევა და კონსულტაციები / საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
წყალსარგებლობის და ნებართვების მოსაკრებლების ოდენობა	კონსულტაციები / საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დისკონტირების პარამეტრები (ნომინალური ღირებულების 10-წლიანი ვადის მქონე ფასიანი ქაღალდების ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და გრძელვადიანი ინფლაციის კურსი)	სამაგიდო კვლევა / საქართველოს ეროვნული ბანკი
ხელფასები სექტორის, ბიზნეს-სუბიექტის ზომისა და პროფესიის მიხედვით	სამაგიდო კვლევა / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
სანებართვო/სალიცენზიო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები	საკონსულტაციო კომპანიების მომსახურება

III.2.1 კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან: ძირითადი მიგნებების მიმოხილვა და განხილვა, თუ რისი დამატება იქნებოდა გონივრული SME ტესტის კონტექსტში

მონაცემთა შეგროვებისა და საჯარო კონსულტაციების ეტაპზე მცირე და საშუალო ზომის საწარმოები არ წარმოადგენდნ განხილვის საგანს, ვინაიდან ეს არ შედიოდა RIA-ს ანალიზის ამოცანებში. მაგრამ კვლევის გარკვეულ ეტაპზე შეგროვებული მონაცემების შედეგად გამოვლინდა, რომ სწორედ აღნიშნული დაინტერესებული მხარეების ჩართულობაა საჭირო.

ამ მიზნის მისაღწევად არსებობს რამდენიმე საშუალება:

- ✓ უპირველეს ყოვლისა, მივმართავდით საქსტატს და შევეცდებოდით, მოგვეპოვებინა ინფორმაცია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატიდან შესაძლებელია გარკვეული ნიშნით დაყოფილი ინფორმაციის

გამოთხოვა, მაგრამ რაც უფრო მეტი ნიშნითაა იგი დაყოფილი, მით უფრო დიდი ხანი დასჭირდება ამგვარი ინფორმაციის მიღებას, რაც მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორია მონაცემთა შეგროვების სტრატეგიის დაგეგმვისას. საქსტატის მიერ აღნიშნული ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ჩვენ შევძლებდით ინფორმაციის წყაროების გამორკვევას და, შედეგად, დავადგენდით, მათგან რამდენი იქნებოდა მცირე და საშუალო ზომის საწარმო.

✓ შემდგომ, მაქსიმალური სიზუსტის უზრუნველსაყოფად, გამოვკითხავდით შესაბამის აუზებში მოქმედ სუბიექტებს და მომზადებული კითხვარის საფუძველზე შევექმნდით ფოკუს-ჯგუფებს, რომელთა დიდი ნაწილი დაკომპლექტებული იქნებოდა აღნიშნულ აუზებში მოქმედი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებით, როგორც ეს აღწერილია SME ტესტის მეთოდოლოგიაში.

- აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა, მაგ., რამდენიმე მიწოდების ჯაჭვის რუკის შედგენით, მონაწილე ბიზნეს-სუბიექტების გამოვლენით და იმის გარკვევით, რამდენად აქვთ მათ კავშირი მცირე და საშუალო საწარმოებთან, რომლებიც შესაძლოა ახორციელებდნენ წყალაღებას ან/და წყალჩაშვებას;
- ინფორმაციის სხვა წყაროდ შესაძლოა, გამოგვეყენებინა ადგილობრივი მუნიციპალური რეესტრები და შესაბამისი ბიზნეს-ასოციაციები;
- მცირე ზომის საწარმოების სახელებისა და მისამართების დადგენის შემდეგ, ჩავატარებდით მონაცემების ანალიზს, რათა შეგვექმნა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების არქებიკი, ე.წ. „სტანდარტული მოქმედი SME“, რომელსაც დასჭირდებოდა ნებართვის აღება წყალაღებისა ან/და წყალჩაშვებისათვის;
- თუ ეს ყოველივე იქნებოდა შეუძლებელი ან ბევრ სირთულესთან დაკავშირებული, შევარჩევდით სხვადასხვა ზომის, ბრუნვის მქონე და განსხვავებულ სექტორში მომუშავე მცირე და საშუალო საწარმოებს.

III.2.2 შესაბამისი მონაცემები: SME ტესტის ჩასატარებლად საჭირო მონაცემების წარმოდგენა. რა ტიპის მონაცემების შეგროვება მოხერხდა და რა ტიპისა — ვერ? (სად შეიძლებოდა აღნიშნული მონაცემების მოპოვება)

შენიშვნა: RIA-ს ანალიზი საკმაოდ კომპლექსური იყო და ტარდებოდა სააუზო დონეზე. მეტი სიმარტივისათვის წარმოგიდგენთ აღნიშნული შეფასებით შთაგონებული მონაცემების მოდიფიცირებულ სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ ფორმატში წარმოდგენილი ინფორმაცია სიზუსტით არ ასახავს რეალურ მონაცემებს, გზამკვლევი შემუშავებულია იმგვარად, რომ მკითხველი ჩაწვდეს შეფასების დროს გამოყენებულ ლოგიკას და თავადაც გამოიყენოს ის.

შენიშვნა: შეგროვებულ და გამოყენებულ ინფორმაციასთან ერთად, ჩვენ მივუთითებთ, სად უნდა ჩაისვას შესაბამისი მნიშვნელობები (უჯრა ან/და სტრიქონი ან/და სვეტი).

III.2.2.1 დისკონტირების პარამეტრები

ქვემოთ მოცემულია მონაცემები საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდიდან

დისკონტირების ნომინალური განაკვეთი	10.6%	10-წლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთი	უჯრა B1
ინფლაცია	3%	გრძელვადიანი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი	უჯრა B3

III.2.2.2 პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს კაპიტალური ხარჯის განმეორებით გაწევა/ანალიზის ჩატარების პერიოდი (მხედველობაში არ მიიღება)

რამდენადაც ლიცენზიების განახლების საჭიროება (სულ მცირე ლიცენზიატების ერთი ჯგუფისთვის) პირველად 5 წლის შემდეგ დადგება, ჩვენ განვიხილავთ 5-წლიან პერიოდს. ეს ნიშნავს, რომ კალკულატორის უჯრაში „B5” შესაყვანი მნიშვნელობაა 6.

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს კაპიტალური ხარჯის განმეორებით გაწევა/ანალიზის ჩატარების პერიოდი (მხედველობაში არ მიიღება);	6
---	---

III.2.2.3 ბიზნეს-სუბიექტების პარამეტრები

ყველაზე რთული დავალება აღმოჩნდა იმ ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობის გამოთვლა და მათი ზრდის შესაბამისი ტემპის პროგნოზირება, რომელთაც რეფორმა შეეხო.

საჭირო გახდა თითოეულ სამიზნე სექტორში მოქმედი ბიზნეს-სუბიექტების აღმოჩენა, მათი დაჯგუფება სექტორის მიხედვით და პროგნოზირება, თუ რამდენ მათგანს დასჭირდებოდა წყალაღების ან/და წყალჩაშვების ნებართვის აღება, საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა და ამისათვის შესაფერისი საკონსულტაციო კომპანიის მომსახურებით სარგებლობა. ამ სავარჯიშოში ვივარაუდებთ, რომ შეგროვებული ინფორმაცია წარმოადგენს სამიზნე აუზებში მოქმედი ბიზნეს-სუბიექტების მთლიან მაჩვენებლებს.

თავდაპირველად საჭირო იყო პროგნოზირება, თუ რამდენ მათგანს დასჭირდებოდა წყალაღების ან/და წყალჩაშვების ნებართვის აღება. RIA-ს ფარგლებში ამის გამოთვლა ორი ძირითადი ინსტრუმენტის საშუალებით იყო შესაძლებელი:

- ✓ საქსტატის ბიზნეს-სტატისტიკა, სადაც აღწერილია ბიზნეს-სუბიექტების სავარაუდო რაოდენობა სექტორების მიხედვით;
- ✓ USAID-ის მიერ დაფინანსებული კვლევა წყლის მომხმარებელთა შესახებ, რომლის საფუძველზეც მოვიპოვეთ ინფორმაცია იმ კომპანიების წილის შესახებ, რომლებიც მოითხოვდნენ წყალაღების ან/და წყალჩაშვების ნებართვას.

სექტორში არსებული კომპანიების, რომლებიც მოითხოვდნენ წყალაღების ან/და წყალჩაშვების ნებართვას თითოეულ სექტორში, წილის გამრავლებით თითოეულ სექტორში არსებული კომპანიების რაოდენობაზე მივიღეთ იმ კომპანიების რაოდენობას, რომლებიც საჭიროებენ წყალაღების ან/და წყალჩაშვების ნებართვას სექტორების მიხედვით.

რამდენადაც გვავინტერესებდა ბიზნეს-სუბიექტთა ზრდის მაჩვენებელი დროში, გამოვიყენეთ შემდეგი მიდგომა:

1. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით გამოვთვალეთ თითოეულ სექტორში არსებული ბიზნეს-სუბიექტების ზრდის მაჩვენებელი. ეს შემთხვევა მოითხოვს, სულ მცირე, უკანასკნელი 5-წლიანი პერიოდის განხილვას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, ან არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ბოლო წლების განმავლობაში ტენდენციები შეიცვალა. მსგავს შემთხვევებში, შესაძლებელია უფრო მცირე პერიოდის განხილვაც);
2. გამოვთვალეთ თითოეული სექტორიდან მოთხოვნილი ნებართვების წილი საერთო მაჩვენებელში;
3. გამოვთვალეთ, აგრეთვე ზრდის მაჩვენებლების საშუალო შეწონილი მაჩვენებელი თითოეული სექტორიდან მოთხოვნილი ნებართვების წილის შეწონილი მაჩვენებლის საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები მიღებულია არსებული მონაცემების საფუძველზე ჩატარებული ექსელის ad hoc ანალიზის შედეგად. ექსელის ფაილიდან ამოღებული შედეგების ამსახველი ფოტოსურათი მოცემულია ცხრილში 3.3.

სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ დროისათვის არ გვქონდა კომპანიების ზომის მიხედვით ჩაშლილი ინფორმაცია (და არც ასეთი ტიპის ანალიზის ჩატარების საჭიროება არ იდგა). თეორიულად, მაინც შეგვიძლო მსგავსი ტიპის ინფორმაციის საქსტატიდან გამოთხოვა. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებულ მონაცემებს (მაგ., USAID-ის გამოკითხვის შედეგებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ანალიზის ჩატარებაში) სხვადასხვა ნიშნით ჩაშლილი მონაცემების მოპოვება არც ისე მარტივი იყო, რადგან აღნიშნული მონაცემები ამ მიზნით არ შეგროვებულა.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში განვიხილავთ, როგორ შეიძლებოდა ამ პრობლემის გადაჭრა საჭიროების შემთხვევაში.

როგორც ვიცით, მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენს საქართველოს ბიზნეს-სექტორის უმეტესობას. იგივე ვითარება იყო 2017 წელსაც. დავუშვათ, ყველა მოქმედ ბიზნეს-სუბიექტს შორის არსებული გადანაწილება იყო შემდეგნაირი:

- ✓ მცირე ზომის კომპანიები – 98.4%
- ✓ საშუალო ზომის კომპანიები: – 1.3%
- ✓ დიდი ზომის კომპანიები – 0.3%

თუმცა, არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ეს მაჩვენებლები ასახავს იმ კომპანიების წილსაც, რომლებიც საჭიროებს ნებართვას. მაშინ, საჭიროა დამატებითი გამოკვლევის ჩატარება, დაინტერესებულ მხარეებთან ან/და ექსპერტებთან საუბარი, ან/და წყალმომხმარებლების გამოკითხვა (ან უბრალოდ USAID-ისთვის თხოვნით მიმართვა, რომ თავის გამოკითხვაში შეიყვანოს მონაცემები კომპანიების ზომების შესახებ). ვივარაუდოთ, რომ ჩვენ ჩავატარეთ აღნიშნული კვლევა და ბიზნეს-სუბიექტების (კომპანიების, რომლებიც საჭიროებს

ნებართვას სამიზნე წყლის აუზებში საქმიანობისათვის) პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირია.¹⁷

- ✓ მცირე ზომის კომპანიები – 81% (მცირე ზომის კომპანიების მხოლოდ 5.5% საჭიროებს ნებართვას)
- ✓ საშუალო ზომის კომპანიები – 15% (საშუალო ზომის კომპანიების 77% საჭიროებს ნებართვას)
- ✓ დიდი ზომის კომპანიები - 4% (დიდი ზომის კომპანიების 89% საჭიროებს ნებართვას)

ასეთ შემთხვევაში, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები წარმოადგენს იმ კომპანიების 96%-ს, რომლებიც საჭიროებს ნებართვას. იმ მცირე და საშუალო საწარმოების წილი, რომელთათვისაც არ არის აუცილებელი ნებართვა (მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საერთო რაოდენობა), 6.4%-ით განისაზღვრა.

შენიშვნა: ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობის გრაფაში მივუთითეთ მოთხოვნილი ნებართვების დაახლოებითი რაოდენობა ყოველი ჯგუფისათვის (უჯრები „B8“, „B9“ და „B10“) იმდენად, რამდენადაც თითოეული ნებართვის ხარჯი იდენტურია და ვვარაუდობთ, რომ თითოეული ნებართვისათვის (წყალაღების ან/და წყალჩაშვების ნებართვა) საჭიროა სხვადასხვა დოკუმენტის მომზადება. იმ შემთხვევაში, თუ ორივე ტიპის ნებართვის მისაღებად ერთობლივი მოთხოვნის განხორციელება დოკუმენტაციის მომზადების ხარჯებს შეამცირებდა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მონაცემები მცირედით უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე სინამდვილეში (ეს ეხება მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც საჭიროებს ორივე ტიპის თანხმობას. ინფორმაცია არ გვაქვს იმის თაობაზე, თუ რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები. მიუხედავად ამისა, სხვაობა იმ კომპანიების წილობრივ მაჩვენებლებს შორის, რომლებიც ორივე ტიპის ნებართვას საჭიროებს, თუნდაც სხვადასხვა აუზების განხილვის შემთხვევაში, მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი შემთხვევები არც თუ ისე ხშირია).

მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლოა სიმართლეს არ შეესაბამებოდეს, მეტი სიმარტივისათვის ვივარაუდებთ, რომ მცირე, საშუალო და დიდი ზომის კომპანიების რიცხვი ერთნაირი ტემპით (უჯრები „B13“ „B14“ და „B15“) იზრდება. სხვა შემთხვევაში ზრდის ტემპის საშუალო მაჩვენებლებს გამოვითვლიდით საქსტატის მონაცემების საფუძველზე, რადგან ისინი დაყოფილია საწარმოების ზომით. გამოთვლას, აგრეთვე, შევძლებდით სექტორის დონეზე, თითოეული ზომის საწარმოს შემთხვევაში, თუ საქსტატი მოგვაწვდიდა შესაბამის ინფორმაციას.

17. იქიდან გამომდინარე, რომ ნებართვას საჭიროებს მხოლოდ ის კომპანიები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ წყლის ობიექტებზე, ვფიქრობთ, ჩვენი ვარაუდი საფუძვლიანია.

ბიზნეს-სუბიექტები ზომის მიხედვით (# საწარმოები)	
მცირე ზომის საწარმოები	3785
საშუალო ზომის საწარმოები	701
დიდი ზომის საწარმოები	187
ზრდის საშუალო მაჩვენებელი (# საწარმოები)	
მცირე ზომის საწარმოები	4.43%
საშუალო ზომის საწარმოები	4.43%
დიდი ზომის საწარმოები	4.43%

III.2.2.4 მოსაკრებლის მოცულობა (ინკრემენტული)

კომპანიების მიერ გადასახდელი მოსაკრებლის ღირებულებები შემდეგია:

- ✓ **ნებართვის/ლიცენზირების გადასახადები:** ყველა კომპანია, რომელიც ახორციელებს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღებას ან/და წყალჩაშვებას, ვალდებულია აიღოს შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა, თითოეული მათგანის ღირებულება შეადგენს 100 ლარს (გათვალისწინებულია ცალ-ცალკე ნებართვები წყალაღებისა და წყალჩაშვებისათვის).
- ✓ **მომხმარებლის გადასახადები (ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღება):** ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალამღები სუბიექტები ვალდებულნი იქნებიან გადაიხადონ მათ მიერ განხორციელებული წყალაღების საფასური (წყლის რაოდენობის შესაბამისად). მეტი სიმართვისათვის, 1 მ³-ის ღირებულება განვსაზღვრეთ 0.01 ლარით და ვივარაუდეთ შემდგომი რაოდენობის მოხმარება საწარმოთა ყოველი ჯგუფისათვის:
 - მცირე ზომის კომპანიები: 8000 კუბური მეტრი;
 - საშუალო ზომის კომპანიები: 24000 კუბური მეტრი;
 - დიდი ზომის კომპანიები: 100000 კუბური მეტრი.

შესაბამისი წლიური ხარჯები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

შენიშვნა: კალკულატორში ხარჯების შეყვანისას ორი შესაძლო არჩევანი გვაქვს (არცერთი არ შეგვყავს, ვუთითებთ ერთ ან ორივე მნიშვნელობას იმის მიხედვით, თუ რას ვიკვლევთ):

- ✓ შევიყვანოთ ერთჯერადი (როგორც წესი, საწყისი) ხარჯები - უჯრები „B18“, „B19“ და „B20“;
- ✓ შევიყვანოთ განმეორებადი მოსაკრებლები (წლიურად განმეორებადი ხარჯები - შეგვყავს წლიური ხარჯი) - უჯრები „B23“, „B24“ და „B25“.

პირველადი/ერთჯერადი მოსაკრებლის (ინკრემენტული) მოცულობა	
მცირე	100
საშუალო	100
დიდი	100

განმეორებითი მოსაკრებლის (ინკრემენტული) მოცულობა	
მცირე	80
საშუალო	240
დიდი	1000

III.2.2.5 დასაქმებისა და ბრუნვის მაჩვენებლების სტატისტიკა

აღნიშნული ანალიზი 2017 წელს არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მონაცემები არ შეგროვებულა, მიუხედავად ამისა, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია საქსტატისგან (საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა).

რამდენადაც საქსტატი ფლობს ინფორმაციას დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის და ყოველ ასაკობრივ ჯგუფში ბრუნვის მაჩვენებლების შესახებ, დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის და ბრუნვის საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად საჭირო იქნებოდა დასაქმებულთა საერთო რაოდენობისა და ბრუნვის მაჩვენებლის გაყოფა თითოეულ ჯგუფში შემავალი საწარმოების რაოდენობაზე.

გამოთვლის ნაბიჯები ასახულია ცხრილში 3.3. ქვემოთ მოცემულია შემაჯამებელი სტატისტიკა. დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის და თითოეულ ჯგუფში შემავალ საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებლები უნდა შეიყვანოთ „B28“, „B29“ და „B30“ უჯრებში, ხოლო თითოეული საწარმოს და თითოეულ ჯგუფში შემავალი საწარმოების საშუალო ბრუნვის მაჩვენებლები „B33“, „B34“ და „B35“ უჯრებში.

თითოეულ ჯგუფში შემავალ საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა	
მცირე	4.771814
საშუალო	159.674
დიდი	1112.329
თითოეული საწარმოს ბრუნვის საშუალო მაჩვენებელი (მლნ ლარი)	
მცირე	0.333054
საშუალო	18.18694
დიდი	153.3386

III.2.2.6 შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პარამეტრები

ამ შემთხვევაში, არსებობდა მხოლოდ შიდა ადმინისტრაციული, ლიცენზიების მართვის და სამინისტროში ინფორმაციის წარდგენის ხარჯები.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კომპანიები წელიწადში საშუალოდ 4 საათს ხარჯავდნენ აღნიშნულ საქმიანობაზე. RIA-ში გავითვალისწინეთ მხოლოდ საათობრივი ღირებულება. მიუხედავად ამისა, საშუალო შემოსავლების შესახებ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე, მცირე და საშუალო საწარმოების, აგრეთვე დიდი ზომის საწარმოების საშუალო ხარჯების გამოთვლის საჭიროების შემთხვევაში მოვიქცეოდი შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 3.3.).

1. გავეცნობოდით თითოეული დასაქმებულის საშუალო შემოსავალს თითოეულ ჯგუფში შემავალი საწარმოებისთვის;
2. ჩვენი მაგალითის საფუძველზე, გამოვთვლიდით მცირე და საშუალო საწარმოში დასაქმებული თითოეული ადამიანის შემოსავლის საშუალო შეწონილ მნიშვნელობას (საქსტატი ფლობს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ნიშნით დაყოფილ ინფორმაციას). ამისათვის დაგვჭირდებოდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილის მაჩვენებელი იმ კომპანიების საერთო რაოდენობაში, რომლებიც საჭიროებს ნებართვის აღებას;
3. გამოვთვლიდით საშუალო საათობრივ ანაზღაურებას (იმ დაშვებით, რომ თვეში 22 სამუშაო დღეა, ხოლო დღეში — 8 სამუშაო საათი);
4. კორექტირებას შევიტანდით საათობრივ ანაზღაურებაში, რათა აგვესახა კავშირი ერთ თანამშრომელზე გამომუშავებულ საშუალო ხელფასსა და კლერკის საშუალო ხელფასს შორის (დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია). ჩვენს შემთხვევაში, 2017 წელს, ისინი იღებდნენ მთლიანი საშუალო ანაზღაურების 95.84%-ს.

რამდენადაც საუბარია ადმინისტრაციულ პერსონალთან დაკავშირებულ მუდმივ ხარჯებზე, უნდა შევავსოთ სტრიქონები 38-40. მცირე და საშუალო საწარმოებთან დაკავშირებული მაჩვენებლები ჩაიწერება სვეტში „B“, ხოლო დიდი ზომის საწარმოებთან დაკავშირებული მაჩვენებლები — სვეტში „C“.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყოველ ჯერზე, დავალების შესრულებისას, კალკულატორში უნდა ჩაიწეროს დოკუმენტების შევსების/მოპოვებისა და მიღებისათვის საჭირო დრო (გამოხატული საათებში). ასევე, საჭიროა მითითება წელიწადის განმავლობაში რამდენჯერ არის საჭირო ქმედების განხორციელება (ამ შემთხვევაში, 1). კალკულატორი გამოითვლის მთლიან (განმეორებად) წლიურ ხარჯებს.

შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები	მცირე და საშუალო საწარმოები	დიდი ზომის საწარმოები
ადმინისტრაციული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება	4.58	6.51
დოკუმენტების შევსებაზე/მოპოვებასა და მიწოდებაზე დახარჯული დრო (გამოხატული საათებში)	4	4
წლის განმავლობაში შემუშავებული სავალდებულო ანგარიშების რაოდენობა	1	1

III.2.2.7 სხვა საოპერაციო ხარჯებთან დაკავშირებული პარამეტრები

სხვა საოპერაციო ხარჯები მოსალოდნელი არ ყოფილა. თუმცა, სავარჯიშოს მიზნებისათვის დავუშვებთ, რომ კომპანიის მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, საჭირო იქნება მომსახურების მიმწოდებლების ჩართულობა რეგულარული შემოწმებების განსახორციელებლად.

დავუშვებთ, რომ აღნიშნული ტიპის მომსახურების წლიური ხარჯი 150 ლარს შეადგენდა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ხოლო დიდი საწარმოებისათვის — 750 ლარს. ამ შემთხვევაში, საჭიროა კალკულატორში დამატებითი მომსახურების ხარჯისა (სტრიქონი

54, სვეტი „B“ მცირე და საშუალო ზომის, ხოლო სვეტი „C“ დიდი ზომის საწარმოებისათვის) და წლის განმავლობაში განმეორებადი ხარჯის რაოდენობის შეყვანა (სტრიქონი 59, სვეტი „B“ მცირე და საშუალო ზომის, ხოლო სვეტი „C“ დიდი ზომის საწარმოებისათვის). თუ განხორციელებული გადახდა ერთზე მეტია (ერთი და იმავე თანხის ოდენობით), საჭიროა, მიუთითოთ გადახდის ოდენობა და მოცემული წლის განმავლობაში განხორციელებული გადახდის რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ გადახდილი თანხის ოდენობა განსხვავებულია, მონაცემები უნდა შეიყვანოს სხვაგვარად.

საუკეთესო იქნება, რომ თითოეული გადახდა ცალკეულ სტრიქონში შეიყვანოს, მაგრამ თუ კალკულატორში არ არის სტრიქონების საკმარისი რაოდენობა, შეგიძლიათ გამოთვალოთ თითოეული გადახდის საშუალო ოდენობა და შეიყვანოს სტრიქონში ერთეულის ფასის სახით, ხოლო რაოდენობის სტრიქონში შეიყვანოს განხორციელებული გადახდების რიცხვი.

სხვა საოპერაციო ხარჯები	მცირე და საშუალო ზომის საწარმოები	დიდი ზომის საწარმოები
ერთეულის ფასი	150	750
რაოდენობა	1	1

III.2.2.8 კაპიტალური ხარჯები (ერთჯერადი ხარჯები)

ამ კატეგორიაში შეგვიძლია შევიყვანოთ ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტაციის წარმოების ხარჯები, რამდენადაც მათი წარმოება საჭიროა ყოველ ხუთ, ან მეტ (საწარმოს ტიპის მიხედვით) წელიწადში ერთხელ.

ნებართვის/ლიცენზიის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია: ყველა კომპანიამ, რომელსაც სურს მიიღოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ან/და ასეთ ობიექტში წყალჩაშვებისათვის საჭირო ნებართვა/ლიცენზია, უნდა აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული ტიპის დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება განისაზღვრა (საქართველოში აღნიშნული მომსახურების გამწევ კომპანიასთან კონსულტაციის შემდეგ) 1500 ლარით წყალაღების, ხოლო 800 ლარით — წყალჩაშვების შემთხვევაში.

იქიდან გამომდინარე, რომ წინა თავებში მითითებულ მონაცემებში აღნიშნული ორი ტიპის ნებართვა ერთმანეთისაგან არ გამოგვიყვია, აქ შევიყვანოთ თითოეული ნებართვის საშუალო შეწონილ ღირებულებას იმ ვარაუდით, რომ ნებართვების 31.3% განკუთვნილი იქნებოდა წყალჩაშვებისათვის, ხოლო 68.7% — წყალაღებისათვის. შედეგად, ყოველი ნებართვის აღების ხარჯი განისაზღვრა 1281 ლარით.

ამ შემთხვევაშიც საჭიროა კალკულატორში ერთეული კაპიტალური ხარჯისა (სტრიქონი 67, სვეტი „B“ მცირე და საშუალო ზომის, ხოლო სვეტი „C“ დიდი ზომის საწარმოებისათვის) და იმ რაოდენობის შეყვანა, რამდენჯერაც ხარჯი მეორდება საწყის წელს (სტრიქონი 72,

სვეტი „B“ მცირე და საშუალო ზომის, ხოლო სვეტი „C“ დიდი ზომის საწარმოებისათვის).

იმ დროისათვის სხვა კაპიტალური ხარჯები არ იყო მოსალოდნელი/შეფასებული.

კაპიტალური ხარჯები	მცირე და საშუალო ზომის საწარმოები	დიდი ზომის საწარმოები
სანებართვო დოკუმენტაციის მომზადების ერთეული ხარჯი	1281	1281
სანებართვო დოკუმენტაციის რაოდენობა	1	1

III.2.2.9 სხვა მიუღებელი შემოსავალი (განმეორებადი ხარჯები)

სხვა დამატებითი მიუღებელი შემოსავალი არ განსაზღვრულა. მიუხედავად ამისა, სავარჯიშოს მიზნებისათვის დავუშვებთ, რომ ყოველ წელს, კერძოდ კი, მომსახურების გამწვევი კომპანიის მიერ შემოწმების ჩატარების დღეს (თავი III.2.2.7.) მიუღებელი შემოსავალი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის შეადგენს 250 ლარს, ხოლო დიდი ზომის საწარმოებისთვის — 2000 ლარს.

ამ შემთხვევაშიც საჭიროა, კალკულატორში შევიყვანოთ წლის განმავლობაში ხარჯის განმეორების რაოდენობა, (სტრიქონი 89, სვეტი „B“ მცირე და საშუალო ზომის, ხოლო სვეტი „C“ დიდი ზომის საწარმოებისათვის) და ერთეული კაპიტალური ხარჯი (სტრიქონი 94, სვეტი „B“ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ხოლო სვეტი „C“ დიდი ზომის საწარმოებისთვის).

სხვა მიუღებელი შემოსავალი (განმეორებადი)	მცირე და საშუალო ზომის საწარმოები	დიდი ზომის საწარმოები
რაოდენობა მოცემული წლის განმავლობაში	1	1
ერთეულის ფასი - დამატებითი მიუღებელი შემოსავალი	150	2000

III.2.3 განაწილების ანალიზი

განაწილების ანალიზი SME ტესტის პირველი საფეხურია და მისი შედეგები გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ საჭიროა თუ არა ტესტის გაგრძელება.

აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა, პასუხი გაეცეს ზოგიერთ კითხვას. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე მათგანი:

სახელმძღვანელო კითხვები:

- ✓ რომელი ეკონომიკური სექტორი ან/და ქვესექტორი წარმოადგენს საკანონმდებლო ინიციატივის სამიზნეს?

პასუხი: ჩვენ მიერ განხორციელებული წინასწარი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ცვლილება შეეხებოდა პრაქტიკულად ყველა სექტორს.

- ✓ არსებობს თუ არა ზეგავლენა მიწოდების ჯაჭვის ზევით ან ქვევით მყოფ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე?

პასუხი: ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ცვლილება შეეხებოდა მიწოდების ჯაჭვში მონაწილე ყველა ტიპის მცირე და საშუალო ზომის საწარმოს.

- ✓ *რამდენია ასეთი საწარმო? როგორია, შესაბამისად, საშუალო, მცირე და მიკრო საწარმოების წილი?*

პასუხი: ჩვენი გამოთვლებით, ნებართვის აღება მოუწევდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების 6.4%-ს (მცირე ზომის საწარმოების 5.5%-ს, ხოლო საშუალო ზომის საწარმოების 77%-ს).

- ✓ *როგორია თითოეული SME კატეგორიის წილი დასაქმების, წლიური ბრუნვისა და ბაზრის წილის (ან სხვა მაჩვენებლების) მიხედვით?*

პასუხი: ჩვენი გამოთვლებით, სამიზნე ბიზნეს-სუბიექტების 81%-ს მცირე ზომის საწარმოები წამოადგენს, საშუალო ზომის საწარმოები — 15%-ს, ხოლო დიდი ზომის საწარმოები კი 4%-ს). ცვლილება გავლენას მოახდენს მცირე დასაქმებულთა 5.3%-ზე და ბრუნვის 3%-ზე, ხოლო იგივე მაჩვენებლები საშუალო ზომის საწარმოების შემთხვევაში 33.1%-ს და 29.9%-ს შეადგენს. დიდი ზომის საწარმოების შემთხვევაში კი 61.5%-სა და 67.2%-ს.

- ✓ *მოსალოდნელია თუ არა რაიმე სახის უარყოფითი გავლენა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე?*

პასუხი: დიახ, ჩვენი წინასწარი ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე სახის უარყოფითი გავლენა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, დამატებით გადასახდელი ხარჯის, ჩასატარებელი ბიუროკრატიული პროცედურების, კონსულტანტების დაქირავების, დამატებითი კაპიტალური და ოპერაციული ხარჯების, ასევე ალტერნატიული დანახარჯების ჭრილში.

წინასწარი ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დიდ ნაწილზე საკანონმდებლო ცვლილება უარყოფით გავლენას იქონიებს, რაც წარმოადგენს ანალიზის გაგრძელების საფუძველს.

III.2.4 ზეგავლენის ანალიზი

ქვემოთ მოცემულია შეგროვებული მონაცემების შეყვანის შემდეგ ხარჯების კალკულატორის მიერ გენერირებული შედეგები.

III.2.4.1 კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ხარჯების ჯამური მოცულობა

აღნიშნულ სამუშაო ფურცელში ავტომატურად ხდება ყველა ხარჯის დაჯამება და დისკონტირება. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ანალიზში განხილულია 5 პერიოდი.

განვიხილოთ, თუ როგორ არის განაწილებული სხვადასხვა ტიპის ხარჯი სამუშაო ფურცელში. იქ არსებული მწვანე უჯრები ასახავს ფულის ნაკადს მცირე და საშუალო საწარმოებში, ხოლო წითელი — დიდი ზომის საწარმოებში.

შენიშვნა: სამუშაო ფურცლის ზედა მარცხენა მხარეს მითითებულია დისკონტირების პროცესში გამოყენებული რეალური დისკონტის განაკვეთი, რომელიც გამოითვლება ნომინალური დისკონტის განაკვეთისა და მოსალოდნელი ინფლაციის განაკვეთის საფუძველზე.

ზემოთ მოცემულ გრაფიკში განხილული მაგალითის მიხედვით, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გასაწევი ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება დიდი ზომის საწარმოების მიერ გასაწევ ხარჯებს. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ არსებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება დიდი ზომის საწარმოების რიცხვს. კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მცირე და საშუალო ზომის, ასევე დიდი ზომის საწარმოების მიერ გასაწევი ხარჯების შესადარებლად აუცილებელია აღნიშნული გარემოების გათვალისწინება.

III.2.4.2 მნიშვნელობები

სწორედ ამას ემსახურება სამუშაო ფურცელი „მნიშვნელობები“ (გრაფიკები 3.1. და 3.2.). ამ სამუშაო ფურცელში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოების მიერ გასაწევი ხარჯების მიმდინარე ღირებულება გამოყენებულია:

- ✓ თითოეული საწარმოს მიერ საშუალო წლიური გასაწევი ხარჯების მნიშვნელობის გამოსათვლელად, რისთვისაც მცირე და საშუალო საწარმოების მთლიანი ხარჯების მიმდინარე ღირებულება გაიყო თითოეულ კატეგორიაში შემავალ საწარმოთა საშუალო რაოდენობაზე ანალიზის განხორციელების პერიოდში;
- ✓ ყოველი დასაქმებულისათვის გასაწევი ხარჯების მნიშვნელობის გამოსათვლელად თითოეული საწარმოს მიერ გაღებული წლიური ხარჯი გაიყო ყოველ კატეგორიაში შემავალ საწარმოთა საშუალო რაოდენობაზე ანალიზის განხორციელების პერიოდში;
- ✓ ყოველი მილიონის ბრუნვაზე თითოეული საწარმოს მიერ საშუალო წლიური გასაწევი ხარჯების მნიშვნელობის გამოსათვლელად ყოველ სექტორში თითოეული საწარმოს მიერ გასაწევი წლიური ხარჯი გაიყო ბრუნვის საშუალო მაჩვენებელზე (გამოსახული ლარში) ანალიზის განხორციელების პერიოდში;
- ✓ საშუალო ხარჯი ერთ საწარმოზე SME-სა და დიდი ზომის საწარმოებისთვის საქმიანობის პირველ წელს;
- ✓ საშუალო ხარჯი ერთ დასაქმებულზე SME-სა და დიდი ზომის საწარმოებისთვის საქმიანობის პირველ წელს;
- ✓ საშუალო ხარჯი 1 მილიონ ბრუნვაზე SME-სა და დიდი ზომის საწარმოებისთვის საქმიანობის პირველ წელს.

გრაფიკი 3.1 მნიშვნელობები ანალიზის განხორციელების პერიოდში

	A	B	C	D	E	F	G	H
1						SME-ები		დიდი საწარმოები
2								
3		საშუალო წლიური დანახარჯი ყოველ მლნ. ბრუნვაზე (GEL)				709		4,165
4								
5		საშუალო წლიური დანახარჯი ერთ დასაქმებულზე (GEL)				24		4
6								
7		საშუალო წლიური დანახარჯი ყოველ მლნ. ბრუნვაზე (GEL)				227		27
8								
9		საწარმოთა საშუალო რაოდენობა განსახილველ პერიოდში						
10		მცირე	4136					
11		საშუალო	766					
12		დიდი	204					

გრაფიკი 3.2 მნიშვნელობები ანალიზის განხორციელების პირველ წელს

	A	B	C	D	E	F	G	H
15						SME-ები		დიდი საწარმოები
16								
17		საშუალო პირველი წლის დანახარჯი ერთ საწარმოზე (GEL)				1,540		2,769
18								
19		საშუალო პირველი წლის დანახარჯი ერთ დასაქმებულზე (GEL)				53.14		2
20								
21		საშუალო პირველი წლის დანახარჯი ყოველ მლნ. ბრუნვაზე (GEL)				494		18.06
22								
23		საწარმოთა საშუალო რაოდენობა განსახილველ პერიოდში						
24		მცირე	3785					
25		საშუალო	701					
26		დიდი	187					

თითოეულ კატეგორიაში შემავალი საწარმოების განსხვავებული რაოდენობის გამო, ცხადია, წინა სამუშაო ფურცელში არსებული მონაცემები იცვლება, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებისთვის თითოეული საწარმოს მიერ გასაწევი საშუალო ხარჯი მნიშვნელოვნად მცირეა. მიუხედავად ამისა, თუ განვიხილავთ საშუალო წლიურ ხარჯს თითოეულ დასაქმებულზე და ბრუნვაში არსებულ ყოველ მილიონ ლარზე, გამოვლენილი ხარჯი მნიშვნელოვნად მაღალია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. ეს რეალურ მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი რომ ყოფილიყო, მიღებული მონაცემები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის არათანაბარ დატვირთვაზე მიანიშნებდა.

W

III.2.5 ალტერნატიული მექანიზმების და შედეგების შემსუბუქების შეფასება

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის RIA-შიც ხაზგასმულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე (განსაკუთრებით, მცირე ზომის საწარმოებზე) არაპროპორციული ზეგავლენა. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე მოსალოდნელი გავლენის შესახებ განხორციელებული თვისებრივი ანალიზი მოიცავს შემდეგს:

მოსალოდნელია, რომ რეფორმის შედეგად საშუალო და დიდი ზომის საწარმოებს (კომპანია, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ხოლო წლიური ბრუნვა აღემატება 12 მილიონ ლარს), არ მოუწევს მნიშვნელოვანი ხარჯების გაღება. მცირე ზომის საწარმოებს კი (კომპანია, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია, ხოლო წლიური ბრუნვა არ აღემატება 12 მილიონ ლარს) შესაძლოა, მნიშვნელოვანი ხარჯების გაღება მოუწიოს. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიძლება განიხილოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გამარტივებული რეჟიმის შემოღება — კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უფრო დიდი პერიოდის შემოღება ან/და სპეციალური დახმარების პროგრამების შემუშავება.

SME ტესტის ჩატარების მოთხოვნა და ხარჯის კალკულატორზე წვდომა ნათლად წარმოაჩენდა აღნიშნული მოსაზრების დასაბუთებას და დაეხმარებოდა ანალიტიკოსებს როგორც მცირე, ისე საშუალო ზომის საწარმოებზე უარყოფითი ზეგავლენის თვისებრივ კვლევაში.

2017 წლის RIA-ში სწორად იყო ხაზგასმული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უფრო დიდი პერიოდის შემოღების საჭიროება მცირე თუ საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად და დასახმარებლად, როგორც ორი შესაძლო ალტერნატივა, რათა მე-2 ალტერნატივის არაპროპორციული უარყოფითი ზემოქმედება შერბილებულიყო.

ასეთი ტიპის მხარდაჭერის მაგალითთა ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალადების ან/და წყალჩაშვების ნებართვის/ლიცენზიის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადების პროცედურის გამარტივება. ამ მიზნით, კომპანიების მსგავსების გათვალისწინებით, შესაძლოა, შემუშავდეს სტანდარტიზებული შაბლონები და ფორმები, სადაც წინასწარ იქნება მითითებული როგორც ზოგადი ინფორმაცია, ასევე მნიშვნელობები, რომელთა გამოყენებასაც შეძლებდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. გარდა ამისა, შეიძლება განხილული იყოს ინიციატივის სამიზნე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კონსორციუმის შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა რესურსების გაერთიანებას და ნებართვის/ლიცენზიის მისაღებად განაცხადის გასაკეთებლად საჭირო ხარჯების განაწილებას. ასევე შესაძლოა, წახალისდეს არსებული ორგანიზაციები თუ ასოციაციები, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ჩაუტარდეს ტრენინგები და კონსულტაციები.

კარგი იქნებოდა კიდევ ერთი ღონისძიების განხილვა, რომელიც 2017 წლის RIA-ში ნახსენები არაა. ეს გახლავთ მოთხოვნებთან შესაბამისობის ეტაპის შემოღება, რაც მცირე და საშუალო საწარმოებს შესაძლებლობას მისცემდა „დაწეოდა“ საკანონმდებლო მოთხოვნებს (ანუ მოეპოვებინა საჭირო ლიცენზია), თუ აღნიშნულის განხორციელებას ვერ მოასწრებდა. ამ კონტექსტში, აღმასრულებელ ორგანოებს ჯარიმის დაწესების ნაცვლად,

შეუძლიათ შეამოწმონ მცირე და საშუალო საწარმოები, შესთავაზონ მხარდაჭერა და ხელი შეუწყონ ლიცენზიების გაცემას (საწარმოების მიერ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში) და დაეხმარონ კომპანიებს საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და გამართულ ფუნქციონირებაში. აღნიშნული მხარდაჭერა შეიძლება გაეწიოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს გარკვეული პერიოდის, მაგ., რეგულაციის შემოღებიდან პირველი 3-4 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც დაიწყება სტანდარტული სანქციონების რეჟიმი.

III.2.6 შაბლონის შევსება

SME ტესტის ანგარიში წარმოადგენს ანალიზის ძირითად შედეგს. მასში ასახულია სამინისტროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მსჯელობა და ტესტში მოცემულ კითხვებზე პასუხები.

SME ტესტის სტანდარტიზებული ნიმუშის არსებობის პირობებში, ერთიან სტანდარტებთან მისადაგებით შევადგინეთ ანგარიში, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და შესაბამისობას და გაზრდის ალბათობას, რომ აღნიშნული მიგნებები გათვალისწინებული იქნეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

იმისათვის, რომ ჩვენ მიერ განხორციელებულ მიგნებებს შესაბამისი ძალა ჰქონდეს, საჭიროა გამოვიყენოთ წარმატებული პრაქტიკის გარკვეული საშუალებები, მათ შორის:

- ✓ მკაფიო და ლაკონური (თუმცა ზუსტი) ენა, საჭიროა უარის თქმა რთულ ტექნიკურ ტერმინოლოგიასა და ადმინისტრაციულ ჟარგონებზე;
- ✓ მნიშვნელოვანია საკუთარი ნააზრევის გადმოცემისას შევინარჩუნოთ წონასწორობა, ხოლო მსჯელობის დასადასტურებლად გამოვიყენოთ ფაქტები და წყაროები;
- ✓ საჭიროა პერიფრაზირება, შენიშვნების გამოყენებით ტექნიკური საკითხების განმარტება ან მათი ანგარიშისთვის დართვა ტექნიკური დანართის სახით;
- ✓ მნიშვნელოვანია, არ გავასაღოთ მოსაზრებები ფაქტებად, შევამოწმოთ თითოეული მოსაზრების სიზუსტე, ფაქტების არადაამაჯერებლობის შემთხვევაში, მივუთითოთ აღნიშნულის შესახებ;
- ✓ დოკუმენტი შევიმუშაოთ ისე, რომ მარტივი და გასაგები იყოს მისი სტრუქტურა. უნდა დავრწმუნდეთ, დოკუმენტში შემავალი თავები ლოგიკურად მიჰყვებოდეს ერთმანეთს, გამოვიყენოთ ვიზუალური გამოსახულებები და გრაფიკები.

ბიბლიოგრაფია

BIS. (2015). Better Regulation Framework Manual: Practical Guidance for UK Government Officials. Department for Business, Innovation and Skills, London, March 2015.

https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/583871/bis-13-1038-Better-regulation-framework-manual.pdf.

Department of the Taoiseach. (2009). Revised RIA Guidelines: How to Conduct a Regulatory Impact Analysis. Dublin, June 2009. https://govacc.per.gov.ie/wp-content/uploads/Revised_RIA_Guidelines_June_2009.pdf.

HM Treasury. (2018). The Green Book: Appraisal and Evaluation in Central Government. The Stationery Office, London. Updated March 2018. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/685903/The_Green_Book.pdf.

National Institute of Clinical Excellence. (2020). Online Glossary. Accessed 25 Aug 2020 from <https://www.nice.org.uk/glossary>.

OECD. (2018). OECD Regulatory Policy Outlook 2018. OECD Publishing, Paris. <https://doi.org/10.1787/9789264303072-en>.

დანართი

შენიშვნა: ქვემოთ მოცემულ გრაფიკებში არსებული მნიშვნელობები გამოყენებულია მხოლოდ საილუსტრაციოდ, რათა შეიქმნას შთაბეჭდილება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება მიღებული შედეგის სამუშაო ფურცლები (კალკულატორის მიერ ავტომატურად გენერირებული).

A1. შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
შრომის ანაზღაურების დანაზრები: 1. ინფორმაციული კალდებულებების შესაბამისობის შრომის ხარჯები (პერსონალი) LABOR COSTS: 1. Labor costs of complying with information obligations (staff)	პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10	
დოკუმენტების შევსება/მიმოვებაზე და მიწოდებაზე დახარჯული დრო (საათი) Time spent on filling / obtaining and delivering documents (hours)	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	
სავალდებულო წარდგენების რიცხვი / წელი Number of obligatory submission / year	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	
შესაბამისი პერსონალის საშუალო დანახარჯი (საათი) Average cost of relevant staff (hour)	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	
ბიზნეს სუბიექტები - POPULATION	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	15000	15150	15455	15923	16570	17415	18486	19820	21463	23473
მთლიანი დანახარჯი Total Cost		480000	484800	494560	509536	530240	557280	591552	634240	686816	751136
შრომის ანაზღაურების დანაზრები: 2. ინფორმაციული კალდებულებების შესაბამისობის შრომის ხარჯები (გარე) LABOR COSTS: 2. Labor costs of	პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10	
დოკუმენტების შევსება/მიმოვებაზე და მიწოდებაზე დახარჯული დრო (საათი) Time spent on filling / obtaining and delivering documents (hours)	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	
სავალდებულო წარდგენების რიცხვი / წელი Number of obligatory submission / year	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	
შესაბამისი პერსონალის საშუალო დანახარჯი (საათი) Average cost of relevant staff (hour)	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	
ბიზნეს სუბიექტები - POPULATION	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	15000	15150	15455	15923	16570	17415	18486	19820	21463	23473
მთლიანი დანახარჯი Total Cost		300000	303000	309100	318460	331400	348300	369720	396400	429260	469460
შრომის ანაზღაურების დანაზრები: 3 რეგულაციის შესაბამისობის სხვა დანაზრები (პერსონალი) LABOR COSTS: 3. Other labor costs of complying with regulation (staff)	პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10	
დოკუმენტების შევსება/მიმოვებაზე და მიწოდებაზე დახარჯული დრო (საათი) Time spent on filling / obtaining and delivering documents (hours)	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	
სავალდებულო წარდგენების რიცხვი / წელი Number of obligatory submission / year	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	
შესაბამისი პერსონალის საშუალო დანახარჯი (საათი) Average cost of relevant staff (hour)	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	
ბიზნეს სუბიექტები - POPULATION	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	15000	15150	15455	15923	16570	17415	18486	19820	21463	23473
მთლიანი დანახარჯი Total Cost		540000	545400	556380	573228	596520	626940	665496	713520	772668	845028
შრომის ანაზღაურების დანაზრები: 4 რეგულაციის შესაბამისობის სხვა დანაზრები (გარე) LABOR COSTS: 4. Other labor costs of complying with regulations (external)	პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10	
დოკუმენტების შევსება/მიმოვებაზე და მიწოდებაზე დახარჯული დრო (საათი) Time spent on filling / obtaining and delivering documents (hours)	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	
სავალდებულო წარდგენების რიცხვი / წელი Number of obligatory submission / year	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	
შესაბამისი პერსონალის საშუალო დანახარჯი (საათი) Average cost of relevant staff (hour)	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	
ბიზნეს სუბიექტები - POPULATION	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	15000	15150	15455	15923	16570	17415	18486	19820	21463	23473
მთლიანი დანახარჯი Total Cost		90000	90900	92730	95538	99420	104490	110916	118920	128778	140838

A2. სხვა საოპერაციო ხარჯები

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სხვა საოპერაციო დანახარჯები OTHER OPERATING COSTS:		პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10
დაბი დანახარჯის კატეგორიების მიხედვით Price per cost category	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 1 Unit cost - category 1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 2 Unit cost - category 2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 3 Unit cost - category 3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 4 Unit cost - category 4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 5 Unit cost - category 5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
რაოდენობა დანახარჯის კატეგორიების მიხედვით Quantity per cost category	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 1 Quantity - cost category 1	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 2 Quantity - cost category 2	75	75	75	75	75	75	75	75	75	75
	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 3 Quantity - cost category 3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 4 Quantity - cost category 4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 5 Quantity - cost category 5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ბიზნეს სუბიექტები POPULATION	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	15000	15150	15455	15923	16570	17415	18486	19820	21463	23473
მთლიანი დანახარჯები Total Cost		3.75E+06	3.79E+06	3.86E+06	3.98E+06	4.14E+06	4.35E+06	4.62E+06	4.96E+06	5.37E+06	5.87E+06

A3. კაპიტალური ხარჯები

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კაპიტალური ხარჯები: CAPITAL COSTS:		პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10
დაბი დანახარჯის კატეგორიების მიხედვით Price per cost category	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 1 Unit cost - category 1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 2 Unit cost - category 2	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 3 Unit cost - category 3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 4 Unit cost - category 4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	ერთეული დანახარჯი - კატეგორია 5 Unit cost - category 5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
რაოდენობა დანახარჯის კატეგორიების მიხედვით Quantity per cost category	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 1 Quantity - cost category 1	500	500	500	500	500	500	500	500	500	500
	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 2 Quantity - cost category 2	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000
	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 3 Quantity - cost category 3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 4 Quantity - cost category 4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	რაოდენობა - დანახარჯის კატეგორია 5 Quantity - cost category 5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ბიზნეს სუბიექტები POPULATION	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	15000	150	305	468	647	845	1071	1334	1643	2010
მთლიანი დანახარჯები Total Cost		67500000	675000	1372500	2106000	2911500	3802500	4619500	6003000	7593500	9645000

A4. ალტერნატიული დანახარჯები

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ალტერნატიული დანახარჯები OPPORTUNITY COSTS		პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10
საწყისი შეფერვების დღეების საშუალო რაოდენობა Average days of initial delay	შეფერვა ტიპი 1 delay type 1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
	შეფერვა ტიპი 2 delay type 2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვა ტიპი 3 delay type 3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვა ტიპი 4 delay type 4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვა ტიპი 5 delay type 5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
საწყისი შეფერვების დანახარჯი დღეების მიხედვით Cost per day of initial delay	შეფერვების დანახარჯი 1 Cost of delay 1	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500
	შეფერვების დანახარჯი 2 Cost of delay 2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვების დანახარჯი 3 Cost of delay 3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვების დანახარჯი 4 Cost of delay 4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვების დანახარჯი 5 Cost of delay 5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ბიზნეს სუბიექტები POPULATION	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	15000	150	305	468	647	845	1071	1334	1643	2010
საწყისი ალტ. დანახარჯი Initial Opp Cost		22500000	225000	457500	702000	970500	1267500	1606500	2001000	2464500	3015000
ალტერნატიული დანახარჯები OPPORTUNITY COSTS		პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10
გამეორებადი შეფერვების დღეების საშუალო რაოდენობა Average days of initial delay	შეფერვების დღეების რაოდენობა ტიპი 1 Days of delay type 1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
	შეფერვების დღეების რაოდენობა ტიპი 2 Days of delay type 2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
	შეფერვების დღეების რაოდენობა ტიპი 3 Days of delay type 3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვების დღეების რაოდენობა ტიპი 4 Days of delay type 4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვების დღეების რაოდენობა ტიპი 5 Days of delay type 5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გამეორებადი შეფერვების დანახარჯი დღეების მიხედვით Cost per day of initial delay	შეფერვების დანახარჯი 1 Cost of delay 1	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000
	შეფერვების დანახარჯი 2 Cost of delay 2	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500	1500
	შეფერვების დანახარჯი 3 Cost of delay 3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვების დანახარჯი 4 Cost of delay 4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	შეფერვების დანახარჯი 5 Cost of delay 5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ბიზნეს სუბიექტები POPULATION	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	15000	15150	15455	15923	16570	17415	18486	19820	21463	23473
გამეორებადი ალტ. დანახარჯი Recurring Opp Cost	სუბიექტების რაოდენობა Number of entities	60000000	60600000	61820000	63692000	66280000	69660000	73944000	79280000	85852000	93892000
მთლიანი ალტ. დანახარჯი Total Opp Cost		82500000	60825000	62277500	64394000	67250500	70927500	75550500	81281000	88316500	96907000

A5. მოსაკრებლები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მოსაკრებელი FEES	პერიოდი 1	პერიოდი 2	პერიოდი 3	პერიოდი 4	პერიოდი 5	პერიოდი 6	პერიოდი 7	პერიოდი 8	პერიოდი 9	პერიოდი 10
განმეორებადი	მცირე საწარმო - Small Enterprises	300	300	300	300	300	300	300	300	300
მოსაკრებელი Recurring	საშუალო საწარმო - Medium Enterprises	300	300	300	300	300	300	300	300	300
პირველადი	მცირე საწარმო - Small Enterprises	500	500	500	500	500	500	500	500	500
მოსაკრებელი Initial fees	საშუალო საწარმო - Medium Enterprises	500	500	500	500	500	500	500	500	500
	მცირე საწარმოთა მთლიანი რაოდენობა - Total number of Small Ent.	10000	10100	10303	10615	11046	11609	12323	13212	14307
ბიზნეს სუბიექტები	საშუალო საწარმოთა მთლიანი რაოდენობა - Total number of Medium Ent.	5000	5050	5152	5308	5524	5806	6163	6608	7156
POPULATION	ახალი მცირე საწარმოები New Small Ent.	0	100	203	312	431	563	714	889	1095
	ახალი საშუალო საწარმოები New Medium Ent.	0	50	102	156	216	282	357	445	548
მოსაკრებლები - recurring fees		4500000	4545000	4616500	4776900	4971000	5224500	5545800	5946000	6438900
მთლიანი პირველადი მოსაკრებლები - Total initial fees		7500000	7575000	7727500	7961500	8285000	8707500	9243000	9910000	10731500

